3 წლის 20 მარტი

№ 5—6

221
1933

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფოტო



თბილისში მუშაობა დაიწყო **საქპურ-ტრესტის ლაბორატორიამ**, რომლის მიზანია პურის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა. ლაბორატორიაში სწარმოებს პურის, ფქვილის და პურის ცხობაში საჭირო სხვა მასალების ანალიზი. სურათზე ლაბორატორიის მუშაკები მუშაობის დროს.



თბილისის აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკის დამკვრელი მუშა-ქალი ამხ. **გოგოლაშვილი**, სანიმუშო დამკვრელურ მუშაობისათვის 1931 წ. დაჯილდოებული იქნა საზღვარ-გარეთ მოგზაურობით.



**თბილისის აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკის დამკვრელი მუშა-ქალი ამხ. საყვარელიძე სისტემატიურად აჭარბებს ნორმას.**



მკერავი № 2 (თბილისი). დამკვრელი კომკავშირელი—ქალი ამხ. **პუდინკო**, დაწინაურებული ცეხუჯრედის მდივნად.



თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის 7-ჯერ დაჯილდოებული მუშა-ქალი ამხ. **წივწივაძე**. 1932 წ. მესამე კვარტალში გაგზავნილი იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში საფეიქრო ტეხნიკის გასაცნობად.



საქართველოს მეთესლეობის სადგურის (თბილისი) სამეცნიერო მუშაკი ამხ. **ვაჩნაძე** ლაბორატორიაში თესლის დაავადების შესწავლის დროს.



— მერქანის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტებში (მოსკოვი) სწარმოებს ს... გამძლეობის საზღვარის გამორკვევა.

## ბორჯომის სატყეო ტეხნიკუმში



ამხ. ხმალაძე—ერ-ერთი საუკეთესო პ... პაგანდისტი, მიმდინარე პოლიტიკის ... ხელმძღვანელი ბორჯომის სატყეო ტ... კუმში.

ჟურნალ „დ...

იმყო...

რედაქციის მდივ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარქსის იდეები იმარჯვებენ

1883 წელს 14 მარტს, ლონდონში გარდაიცვალა უდიდესი მოაზროვნე და რევოლიუციონერი—რევოლიუციონური კომუნიზმის მამამთავარი—**კარლ მარქსი.**

მის გარდაცვალებიდან გასულმა 50 წელმა, მსოფლიო ისტორიის განვითარებამ ამ პერიოდში აშკარად დაამტკიცა, მსოფლიო პროლეტარიატის გენიალურ ბელადის მოძღვრების აბსოლიუტური სისწორე. **„მარქსიზმის წარმოშობის შემდეგ** —სწერდა **ლენინი** 1913 წელს— **მსოფლიო ისტორიის თითეულმა სამმა დიდმა ეპოქამ მოუტანა მას ახალი დასაბუთება და ახალი ტრიუმფები. მაგრამ კიდევ უფრო დიდ ტრიუმფს მოუტანს მარქსიზმს როგორც პროლეტარიატის მოძღვრებას, მომავალი ისტორიული ეპოქა“.** ეს ახალი ისტორიული ეპოქა, გამარჯვებული სოციალისტური მშენებლობის ეპოქა საბჭოთა კავშირში, კაპიტალისტური სისტემის უღრმესი კრიზისის ეპოქა, მართლაც ბრწყინვალედ ასაბუთებს მარქსის თეორიის დიდ სისწორეს.

მარქსმა შექმნა პროლეტარული ფილოსოფია. — **დიალექტური მატერიალიზმი,** ყველაზე უფრო თანმიმდევარი მატერიალიზმი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეთანხმებული იყოს იდეალიზმის და რელიგიის არც ერთ ფორმასთან.

ისტორიის მატერიალისტურ გაგებასთან დაკავშირება, რომ **საზოგადოებრივი ყოფა** (ეკონომიკა), უდევს საფუძვლად კაცობრიობის მთელ ისტორიას, მარქსი ჰკიდებს ხელს ბურჟუაზიულ საზოგადოების ეკონომიურ საფუძვლების შესწავლას და თავის უკვდავ ნაწარმოებში **„კაპიტალ“-ში** იძლევა, კაპიტალიზმის წარმოშობის, განვითარების და დაღუპვის ბრწყინვალე ანალიზს, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მარქსი ამტკიცებს, რომ კაპიტალი თავისი განვითარების შინაგანი კანონების ძალით, შრომის საზოგადოებრივი ხასიათის და მის მითვისების კერძო ფორმის მთავარ ანტაგონიზმის ზრდის ძალით, დაიღუპება გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლაში. **„კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებათა შორის ძევს პირველის მეორეში რევოლიუციონური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეეფარდება პოლიტიკური გარდამავალი პერიოდი, და ამ პერიოდის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა რამ, თუ არა პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა“ (კ. მარქსი).**



**კარლ მარქსი 1872 წელს.**

დაახლოვებით ასი წლის წინად ჯერ კიდევ მონოპოლისტური კაპიტალიზმის არსებობამდე **მარქსმა მეცნიერულად დაასაბუთა პროლეტარიატის დიქტატურის იდეა.**

მაგრამ მარქსი არასოდეს არ ყოფილა მარტო მეცნიერი, რომელიც სწავლობდა თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ კლასიურ ბრძოლის ეკონომიურ ბუნებას. **მარქსი იყო დიდი რევოლიუციონერი, მებრძოლი და ამ კლასიურ ბრძოლის აქტიური მონაწილე.** მარქსი პროლეტარიატის ბელადი იყო. მარქსი და ენგელსი არიან პირველი რევოლიუციონური პროლეტარული პარტიის დამაარსებელნი, ესენი იყვნენ უკვდავი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ავტორები. მარქსი იყო პირველი ინტერნაციონალის სულისჩამდგმელი და მთავარი ორგანიზატორი, მისი ცნობილი მანიფესტების და მოწოდებათა ავტორი, პარიზის კომუნის გენიალური დამცველი.

**მარქსის საქმემ, პირველი ინტერნაციონალის და პარიზის კომუნის საქმემ ნახა თავისი ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი ბოლშევიკურ პარტიის და კომუნისტურ ინტერნაციონალის სახით, მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ამხ. ლენინის და მისი საუკეთესო თანამებრძოლის და მოწაფის ამხ. სტალინის სახით.**

მარქსის რევოლიუციონური დიალექტიური მეთოდის საშუალებით **ლენინი** არა მარტო აღდგენს მარქსის მოძღვრებას, არა მარტო ასუფთავებს და სწმინდავს მას მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტების ფალსიფიკაციისაგან, არამედ ყოველი ჯურის რევიზიონიზმთან ბრძოლის პროცესში ავითარებს და აღრმავებს მარქსის თეორიას და მეთოდს. **„ლენინიზმი — იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლიუციის ეპოქის მარქსიზმია“** (სტალინი).

ის ვინც ვერ ხედავს მარქსიზმის განვითარებას, იმას ვისაც არ ესმის მარქსის თეორიის განვითარების ლენინური ეტაპი, მას არაფერი არ ესმის მარქსიზმის?

**„განავითარა რა შემდგომ მარქსის მოძღვრება კლასობრი-**



Das Kapital.

Kritik der politischen Oekonomie.

Von

Karl Marx.

Erster Band.

Buch I: Der Produktionsprocess des Kapitals.

Das Recht der Uebersetzung wird vorbehalten.

Hamburg

Verlag von Otto Meissner.

1867.

New-York: L. W. Schmidt. 24 Barclay-Street.

კაპიტალის პირველი ტომის გერმანული გამოცემის ყდა (ჰამბურგი, 1857 წ.

ვი ბრძოლის ახალ პირობებში, ლენინმა მარქსიზმის საერთო საგანძურში შეიტანა ახალი რამ იმასთან შედარებით, რაც მოცემულია მარქსისა და ენგელსის მიერ, იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა მოცემული ყოფილიყო იმპერიალისტური კაპიტალიზმის წინა პერიოდში და ამასთან ეს ახალი, რაც ლენინმა შეიტანა მარქსიზ. საგანძურში მთლიანად და სავსებით ეყრდნობა მარქსის და ენგელსის მიერ მოცემულ პრინციპებს“ (სტალინი).

ლენინი ცხოვრობდა სხვა ისტორიულ ეპოქაში, რომელიც მან დაახასიათა როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია. ლენინმა განავითარა და დაუმატა მარქსის მოძღვრებას, მეცნიერულად დასაბუთებული, გენიალურად დამუშავებული იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლიუციის თეორია.

თუ მარქსმა ჩვენ მოგვცა პროლეტარიატის დიქტატურის საერთო გენიალური იდეა, ლენინმა ახალ ისტორიულ პირობებში აღმოაჩინა **პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა — საბჭოთა ხელისუფლების ფორმა**. ლენინმა ბრწყინვალედ დაამუშავა და პრაქტიკულად გაატარა ცხოვრებაში. მუშათა კლასის და გლეხობის **კლასობრივი კავშირი** პროლეტარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ.

თუ მარქსმა მოგვცა ჩვენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდის საერთო ისტორიული პერსპექტივა, ლენინმა შეასხა ამ პერსპექტივას სისხლი და ხორცი, დასახა **„ახალი ეკონომიური პოლიტიკა“**, კონკრეტული გზა სოციალიზმისაკენ, რომელიც ბრწყინვალედ გაიარა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა.

და ეს **შესაძლებლობა** ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გადაიქცა უკვე **სინამდვილედ** ჩვენ ქვეყანაში. ლენინმა განაგრძო, გააღრმავა და განავითარა მატერიალისტური დიალექტიკა.

ლენინის პარტიას მუდამ მაღლა ეჭირა მარქსიზმის დროშა, ის მუდამ გაშმაგებით იბრძოდა რევიზიონისტების წინააღმდეგ, რომლებიც აყალბებდენ მარქსიზმს ხან მარჯვნიდან, ხან „მარცხნიდან“ და სურდათ ამოეგლიჯათ მარქსიზმიდან მისი რევოლიუციონური, მებრძოლი სული, გადაექციათ ის ბურჟუაზიულ-ლიბერალურ მოძღვრებად.

ლენინი გამოვიდა მესამე ინტერნაციონალის ორგანიზატორის და სულისჩამდგმელის როლში, რომელმაც აღადგინა პირველი ინტერნაციონალის ბრწყინვალე რევოლიუციონური ტრადიციები ბოლშევიზმის თეორიით, სტრატეგიით და ტაქტიკით, გამდიდრებული და გაღრმავებული.

**ამხ. სტალინი—ლენინის საუკეთესო მოწაფე და მარქს-ენგელს-ლენინის საქმის გამგრძელებელი— იძლევა შემოქმედი მარქსიზმის განვითარების ბრწყინვალე ნიმუშებს.**

ამხ. **სტალინი** ახალ ისტორიულ პირობებში აგრძელებს და აღრმავებს ლენინის მოძღვრებას გარდამავალ პერიოდზე, კომუნიზმის პირველ ფაზაზე, მუშათა კლასის და გლეხობის კავშირზე.

**ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით და მისი მითითებებით ბოლშევიკურმა** პარტიამ დაამუშავა და შეასრულა პირველი ხუთწლედი, რომელმაც უზრუნველყო სოციალისტური ეკონომიის საძირკველის აგება ქვეყანაში და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება! როგორც ქალაქად ისე სოფლად.

**ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით და მისი მითითებებით** ქვეყნისა და პარტიის წინაშე მთავარ პოლიტიკურ ამოცანად მეორე ხუთწლედში დასმულია კაპიტალისტური კლასების და ელემენტების სრული ლიკვიდაცია და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების საკითხი.

**„მარქსის მოძღვრება უძლეველია, რადგან ის სწორია“**—სწერდა ლენინი. **მარქსის-ლენინის-სტალინის** მოძღვრება უძლეველია, რადგან მით შეიარაღებულია საბჭ. კავშირის ძლევამოსილი პროლეტარიატი და მთელი მუშათა კლასი.

სოციალ ფაშისტები, რომლებმაც დიდი ხანია გაყიდეს მარქსი, კვლავ ახმაურდენ. მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავზე ისენი იწვევენ გერმანიის ს.-დ. პარტიის ყრილობას. „მოწესრიგებულ კაპიტალიზმის“ ცნობილი მოძღვარი **რუდოლფ გილფერდინგი** აკეთებს მოხსენებას „მარქსი და თანამედროვეობა“. ისე როგორც წინათ, სოციალ ფაშისტები დასდებენ ცრუ ფიცს, რომ არიან მარქსის ერთგული მოწაფეები. ამ ფიცს შეაფარებენ თავს და თავისი მოალებით დაიჩოქებენ გიტლერის წინაშე და კვლავინდებურად გაყიდიან პროლეტარიატის ინტერესებს.

მიუხედავად სოციალ-ფაშისტების თეორეტიკოსების ზრახვებისა, რომლებიც მარქსის და ენგელსის მოძღვრების ფალსიფიკაციის საშუალებით ცდილობენ დაიცვან კაპიტალიზმი, ბოლშევიკ-კომუნისტებს სრული უფლება აქვთ სთქვან **„მარქსი** გვეკუთვნის ჩვენ“.

მარქსის და ენგელსის ყველა შრომები კვლავინდებურად აქტუალური და მებრძოლ ხასიათს ატარებენ. სოციალიზმის მშენებლობის ყველა თანამედროვე დიდი თეორეტიული და პოლიტიკური საკითხები (კლასების მოსპობა, პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრება, ბრძოლა გათანაბრებასთან, საზოგადოებრივ საკუთრების დაცვა, ბრძოლა გამცდენლებთან) გადაჭრილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დაეუფლებით მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების გარეშე შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის გაგება.

საკ. ც.კ. და ც.ს.კ. იანვრის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ მარქს-ენგელს-ლენინის იდეათა გატარების ბრწყინვალე ნიმუშს, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის და პრაქტიკის შეთანხმების შესანიშნავ მაგალითს, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში.

**მარქს-ლენინის დროშა ბატონობს დედამიწის ერთ მეექვსედზე!**

**მარქს-ენგელს-ლენინის საქმეს განაგრძობს დიადი ბოლშევიკური პარტია და მისი დიდი ბელადი, საუკეთესო მარქსისტი და ლენინელი ამხ. სტალინი.**

**მარქსის იდეები იმარჯვებენ! მარქსის საქმე უძლეველია!**



„კაპიტალი“-ს I ტომის პირველი რუსული გამოცემა

# კარლ მარქსი

(ბიოგრაფიული ცნობები) *)

კარლ მარქსი დაიბადა 1818 წ. 5 მაისს (ახალი სტილით) ქალაქ ტრირში (რეინის მხარეს პრუსია). მისი მამა იყო ადვოკატი, ებრაელი, რომელმაც 1824 წელს მიიღო პროტესტანტობა. ოჯახი იყო შეძლებული, კულტურული, მაგრამ არარევოლიუციონური. ტრირის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მარქსი შევიდა ჯერ ბონის უნივერსიტეტში, შემდეგ ბერლინის, სწავლობდა იურიდიულ მეცნიერებას, მაგრამ ყველაზე მეტად ისტორიას და ფილოსოფიას. კურსი დაამთავრა 1841 წ. საუნივერსიტეტო დისერტაციისათვის წარადგინა შრომა ეპიკურის ფილოსოფიის შესახებ. თავისი შეხედულებებით მარქსი მაშინ ჯერ კიდევ ჰეგელიანელი-იდეალისტი იყო. ბერლინში ის ეკუთვნოდა „მემარცხენე" ჰეგელიანელების წრეს (ბრუნო ბაუერი და სხვ.), რომლებიც ისწრაფვოდნენ ჰეგელის ფილოსოფიიდან ათეისტური და რევოლიუციონური დასკვნები გაეკეთებინათ.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მარქსი გადასახლდა ბონში იმ განზრახვით, რომ პროფესურას მიიღებდა. მაგრამ მთავრობის რეაქციონურმა პოლიტიკამ, რომელმაც 1832 წ. კათედრა წაართვა ლიუდვიგ ფეიერბახს და 1836 წ. კვლავ უარი სთქვა მის დაშვებაზე უნივერსიტეტში, 1841 წ. ბონში ლექციების კითხვის უფლება წაართვა ახალგაზრდა პროფესორს ბრუნო ბაუერს, აიძულა მარქსი უარი ეთქვა მეცნიერულ კარიერაზე. მემარცხენე ჰეგელიანობის შეხედულებათა განვითარება გერმანიაში ამ დროს ძლიერ სწრაფად მიმდინარეობდა. ლიუდვიგ ფეიერბახი განსაკუთრებით 1836 წლიდან იწყებს თეოლოგიის კრიტიკას და მობრუნებას მატერიალიზმისაკენ, რომელიც საბოლოოდ ხძლევს მასში 1841 წ. („ქრისტიანობის არსი"); 1843 წ. გამოვიდა მისი „მომავლის ფილოსოფიის ძირითადი დებულებები". „საჭირო იყო ამ წიგნების განმათავისუფლებელი გავლენის განცდაო",—სწერდა შემდეგში ენგელსი ფეიერბახის ამ წიგნების შესახებ, „ჩვენ" (ე. ი. მემარცხენე ჰეგელიანელები), მათ რიცხვში მარქსიც) „იმ წამსვე გავხდით ფეიერბახიანელები"**). ამ დროს რეინის რადიკალურმა ბურჟუებმა, რომლებსაც შეხების წერტილები ჰქონდათ მემარცხენე ჰეგელიანელებთან, კელნში დაარსეს ოპოზიციონური გაზეთი: „რეინის გაზეთი" (გამოსვლა დაიწყო 1842 წ. 1 იანვარს). მარქსი და ბრუნო ბაუერი მიწვეული იქნენ, როგორც მთავარი თანამშრომლები. 1842 წ. ოქტომბერში მარქსი გახდა მთავარი რედაქტორი და ბონნიდან კელნში გადასახლდა. გაზეთის რევოლიუციონურ-დემოკრატიული მიმართულება მარქსის რედაქტორობის დროს უფრო და უფრო გარკვეული ხდებოდა და მთავრობამ გაზეთი ჯერ ორმაგ და სამმაგ ცენზურას დაუმორჩილა და შემდეგ გადაწყვიტა მისი სრულიად დახურვა 1843 წ. 1 იანვარს. მარქსს ამ დროისათვის მოუხდა რედაქტორობის დატოვება, მაგრამ მისმა წასვლამ მაინც ვერ იხსნა გაზეთი და იგი დახურეს 1843 წლის მარტში. „რეინის გაზეთში" მარქსის მიერ მოთავსებულ ერთი წერილებიდან (გარდა ქვემოთ მოყვანილისა (იხ. ლიტერატურა***), ენგელსი აღნიშნავს კიდევ წერილს მოზელის დაბლობის მევინე-გლეხების მდგომარეობის შესახებ. საგაზეთო მუშაობამ ნათელჰყო მარქსისათვის, რომ ის საკმაოდ არ არის გაცნობილი პოლიტიკურ ეკონომიასთან და მან გულმოდგინეთ მოჰკიდა ხელი მის შესწავლას.



ხახლი, სადაც დაიბადა მარქსი.

1843 წ. მარქსმა კრეიცნახში ითხოვა ჯენნი ფონ-ვესტფალენ, სიყრმის მეგობარი, რომელიც დანიშნული ჰყავდა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. მისი ცოლი ეკუთვნოდა პრუსიის რეაქციონურ მემამულეთა ოჯახს. მისი უფროსი ძმა პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ერთერთ ყველაზე უფრო რეაქციონურ ეპოქაში, 1850—1858 წ. წ. 1843 წ. შემოდგომაზე მარქსი ჩავიდა პარიზში, რომ არნოლდ რუგესთან (1802—1880; მემარცხენე ჰეგელიანელი, 1825—30 წ. წ. ციხე, 1848 წ. შემდეგ—ემიგრანტი; 1866—1870 წ. შემდეგ —ბისმარკის მომხრე) ერთად საზღვარ-გარეთ გამოეცა რადიკალური ჟურნალი. გამოვიდა ამ „გერმანულ-ფრანგული ყოველწლიური" ჟურნალის მხოლოდ პირველი წიგნი. მისი გამოცემა შეწყდა გერმანიაში არალეგალურად გავრცელების სიძნელისა და რუგესთან უთანხმოების გამო. ამ ჟურნალში მოთავსებულ თავის წერილებში მარქსი გამოდის უკვე როგორც რევოლიუციონერი, რომელიც აცხადებს „ყოველივე არსებულის ულმობელ კრიტიკას" და კერძოდ „იარაღის კრიტიკას", რომელიც მიმართავს მასებს და პროლეტარიატს.

1844 წ. სექტემბერში პარიზში რამდენიმე დღით ჩავიდა ფრიდრიხ ენგელსი, რომელიც ამ დროიდან გახდა მარქსის უახლოესი მეგობარი. ორივემ უაღრესად მხურვალე მონაწილეობა მიიღო პარიზის რევოლიუციონური ჯგუფების მაშინდელ აბობოქრებულ ცხოვრებაში (განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პრუდონის მოძღვრებას, რომელსაც მარქსი გადაჭრით გაუსწორდა თავის „ფილოსოფიის სიღატაკე"-ში, 1847 წ.) და წვრილ ბურჟუაზიული სოციალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობებთან სასტიკ ბრძოლაში შეიმუშავეს რევოლიუციონური პროლეტარული სოციალიზმის ანუ კომუნიზმის (მარქსიზმის) თეორია და პრაქტიკა. 1845 წ. მარქსი პრუსიის მთავრობის დაჟინებითი მოთხოვნით, როგორც საშიში რევოლიუციონერი, გაძევებული იქნა პარიზიდან. ის გადავიდა ბრიუსელში. 1847 წ. გაზაფხულზე მარქსი და ენგელსი მიემხრენ ფარულ პროპაგანდისტულ საზოგადოებას: „კომუნისტების კავშირს", თვალსაჩინო მონაწილეობა მიიღეს ამ კავშირის მეორე ყრილობაზე (1847 წ. ნოემბერი ლონდონში) და, მისი დავალებით, შეადგინეს 1848 წ. თებერვალში გამოსული ცნობილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". ამ ნაწარმოებში გენიალურის სიცხადით და სიმკვეთრით ასახულია ახალი სოფლმხედველობა, თანამიმდევრობითი მატერიალიზმი, რომელიც შეიცავს სოციალური ცხოვრების დარგსაც, დიალექტიკა, როგორც ყოვლმხრივი და ღრმა სწავლება განვითარების შესახებ, კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის, ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის მსოფლიო-ისტორიული რევოლიუციონური როლის თეორია.

როცა იფეთქა 1848 წ. თებერვლის რევოლიუციამ, მარქსი გაძევებული იქნა ბელგიიდან. ის ჩავიდა ისევ პარიზში, იქიდან კი, მარტის რევოლიუციის შემდეგ, გერმანიაში, სახელდობრ კელნში. იქ 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წ. 19 მაისამდე გამოდიოდა „ახალი რეინის გაზეთი"; მთავარი რედაქტორი იყო მარქსი. ახალი თეორია ბრწყინვალედ იქნა დადასტურებული 1848—1849 წ. რევოლიუციონური მოვლენების მიმდინარეობით ისე, როგორც ადასტურებდნენ მას შემდეგში მსოფლიოს ყველა ქვეყნების ყველა პროლეტარული და დემოკრატიული მოძრაობანი. გამარჯვებულმა კონტრ-რევოლიუციამ მარქსი ჯერ პასუხისგებაში მისცა (გაამართლეს 1849 წ. 9 თებერვალს, შემდეგ კი გააძევა გერმანიიდან 1849 წ. 16 მაისს). მარქსი ჯერ პარიზში გაემგზავრა, გააძევეს იქიდანაც 1849 წ. 13 ივნისის დემონსტრაციის შემდეგ და გაემგზავრა ლონდონს, სადაც ცხოვრობდა სიკვდილამდე.

ემიგრანტული ცხოვრების პირობები, განსაკუთრებით ცხადათ დახატული მარქსის მიწერ-მოწერაში ენგელსთან (გამოცემულია 1913 წ.) *), მეტად მძიმე იყო. გაჭირვება პირდაპირ აღრჩობდა მარქსს და მის ოჯახს; ენგელსის მუდმივი თავდადებული დახმარება რომ არ ყოფილიყო, მარქსი ვერა თუ ვერ დაამთავრებდა „კაპიტალს", არამედ უსათუოდ დაიღუპებოდა სიღატაკეში. გარდა ამისა, წვრილბურჟუაზიული, არაპროლეტარული სოციალიზმის სწავლებათა და მიმდინარეობათა გავლენა აიძულებდნენ მარქსს ჰქონოდა მუდმივი უსასტიკესი ბრძოლა, ზოგჯერ მოიგერიებია უაღრესად გაავთრებული და ველური პირადი თავდასხმები (Herrwogt**) ერიდებოდა რა ემიგრანტულ წრეებს, მარქსი მთელ რიგ ისტორიულ შრომებში ამუშავებდა მატერიალისტურ თეორიას, მთელს თავის ძალებს უმთავრესად უთმობდა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას. ეს მოძღვრება მარქსმა რევოლიუციონური გახადა (იხ. ქვემოთ მარქსის მოძღვრება***), თავის თხზულებებში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" (1859) და „კაპიტალში" (ტ. 1, 1867).

ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების დამლევის დემოკრატიულ მოძრაობათა გამოცოცხლების ეპოქამ კვლავ მოუწოდა მარქსს პრაქტიკული საქმიანობისაკენ. 1864 წ. (28 სექტემბერს) ლონდონში დაარსებული იქნა ცნობილი I ინტერნაციონალი, „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა". მარქსი იყო ამ საზოგადოების სული,

---

*) იხ. ვ. ი. ლენინის წიგნი—„მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი".

**) ფ ენგელსი, „ლიუდვიგ ფეიერბახი".

***) წერილის ბოლოში ლენინს მოყვანილი აქვს მარქსიზმისა და მარქსიზმის ისტორიის ლიტერატურის დაწვრილებითი მიმოხილვა, რომელიც აქ არ მოგვყავს (იხ. ტ. 18, გვ. 32—43). რედ.

*) იხ. თხზულებანი, ტ. მე-18, გვ. 32—43

**) „ბატონი ფოგტი"—რედ.

***) იხ. წიგნი „მარქსი", ენგელსი, მარქსიზმი".

მისი პირველი „მიმართვის" და უამრავ რეზოლუციების, განცხადებების და მანიფესტების ავტორი. მარქსმა, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობას, ცდილობდა შეთანხმებული საქმიანობის კალაპოტში წარემართა არაპროლეტარული მარქსიზმის წინადროინდელი სოციალიზმის (მაძინი, პრუდონი, ინგლისის ლიბერალური ტრედიუნიონიზმი, ლასალიანური მარჯვნივ ქანაობა გერმანიაში და სხვ.), ებრძოდა ყველა ამ სექტების და შკოლების თეორიებს, გამოსჭედა მუშათა კლასის პროლეტარული ბრძოლის ერთიანი ტაქტიკა სხვადასხვა ქვეყნებში. პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ, (1871), რომელიც ასე ღრმად, სწორად, ბრწყინვალედ და ცოცხლად, რევოლიუციონურად შეაფასა მარქსმა („სამოქალაქო ომი საფრანგეთში") და ბაკუნისტების მიერ ინტერნაციონალში შეტანილი განხეთქილების შემდეგ, მისი არსებობა ევროპაში შეუძლებელი შეიქნა. ინტერნაციონალის ჰააგის კონგრესის შემდეგ (1872) მარქსმა გაატარა ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს გადატანა ნიუ-იორკში. პირველმა ინტერნაციონალმა, დაამთავრა თავისი ისტორიული როლი, დაუთმო ადგილი ეპოქას მუშათა მოძრაობის განუზომლად უფრო დიდად ზრდისა ყველა ქვეყნებში, სახელდობრ, მისი **განით** ზრდის; ცალკე ნაციონალური სახელმწიფოების ბაზაზე **მასიური** სოციალისტური მუშათა პარტიების შექმნის ეპოქას.

გაძლიერებულმა მუშაობამ ინტერნაციონალში და კიდევ უფრო გაძლიერებულმა თეორეტიულმა მუშაობამ საბოლოოდ გასტეხეს მარქსის ჯანმრთელობა. ის განაგრძობდა თავის მუშაობას პოლიტიკური ეკონომიის გადამუშავებაზე და „კაპიტალი"-ს დამთავრებაზე, აგროვებდა უამრავ ახალ მასალებს და ისწავლიდა მთელ რიგ ენებს (მაგ. რუსულს), მაგრამ ავადმყოფობამ მას არ მისცა კაპიტალის დამთავრების შესაძლებლობა.

1881 წ. 2 დეკემბერს გარდაიცვალა მისი ცოლი, 1883 წ. 14 მარტს მარქსმა წყნარად, სამუდამოდ მიიძინა თავის სავარძელში. იგი თავის ცოლთან და ერთგულ მსახურ-ქალთან, თითქმის ოჯახის წევრთან —ელენე დემუტთან ერთად დასაფლავებულია ქ. ლონდონში ხაიგეტის სასაფლაოზე.




„კომუნისტური მანიფესტი"-ს პირველი გამოცემა გერმანულად.

# კარლ მარქ'ის ავადმყოფობა და გარდაცვალება *)

კარლსბადში სამჯერ მკურნალობის შემდეგ თითქმის განიკურნა ღვიძლის ძველი ავადმყოფობიდან და მას აწუხებდა მხოლოდ კუჭის ქრონიკული ავადმყოფობა და ნერვიული მოქანცულობა, რაც გამოიხატებოდა თავის ტკივილებში და განსაკუთრებით აუტანელი უძილობაში. ორივე ეს მოვლენა ცოტათ თუ ბევრად სწყდებოდა ზაფხულობით საზღვაო კურორტზე ყოფნის შედეგად და უფრო მწვავე სახით აღდგებოდა მხოლოდ ახალი წლის შემდეგ ყელის ქრონიკული ავადმყოფობა, ხველა, რომელიც აგრეთვე ხელს უწყობდა უძილობას, და ქრონიკული ბრონხიტი საერთოდ ყველაზე ნაკლებ აწუხებდნენ მას. მაგრამ სწორედ მათ მოამზადეს მისი




ინტერნაციონალის საწევრო ბილეთი. მარქსის ხელის მოწერა აღნიშნულია ვარსკვლავით.

დაღუპვა. ცოლის სიკვდილამდე ოთხი თუ ხუთი კვირით ადრე მას დაემართა კულმმღერდის პლევრის სასტიკი ანთება (პლევრიტი), გართულებული ბრონხიტით და დაწყებული ფილტვების ანთებით (პნევმონიით). ავადმყოფობა ძლიერ საშიში იყო, მაგრამ კარგად მიმდინარეობდა. შემდეგ ის ჯერ კუნძულ უაიტზე გაგზავნეს (1882 წ. დასაწყისში), შემდეგ ალჟირში. მოგზაურობის დროს ძლიერ ციოდა და ის ალჟირში ჩავიდა ახალი პლევრიტით. ჩვეულებრივ პირობებში ამაშიც არ ყოფილა რაიმე განსაკუთრებული. მაგრამ ზამთარი და გაზაფხული ალჟირში ცივი და წვიმიანი იყო, როგორც არასოდეს: აპრილში ამაოდ ცდილობდნენ გაეთბოთ სასადილო! ამრიგად საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად მოხდა გაუარესება.

ალჟირიდან მონტე-კარლოში (მონაკოში) გაგზავნილი მარქსი მგზავრობის დროს ცივი და წვიმიანი ამინდის გამო, ჩავიდა იქ მესამე, მაგრამ უფრო მსუბუქი პლევრიტით. მასთან ერთად არ იცვლებოდა საძაგელი ამინდი, რომელიც მან თითქო აფრიკიდან ჩამოიტანა. ამრიგად აქაც, მოკეთების ნაცვლად — ბრძოლა ახალ ავადმყოფობასთან. ზაფხულის დასაწყისში ის გაემგზავრა თავის ქალიშვილთან, ქ-ნ ლონგესთან არჟანტეილში და თავისი ქრონიკული ბრონხიტის წინააღმდეგ სარგებლობდა მახლობლად მდებარე ენგიენის გოგირდიან აბაზანებით. მიუხედავად გამუდმებული წვიმებისა ზაფხულში, მკურნალობა თუმცა ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა და ექიმები კმაყოფილი იყვნენ. შემდეგ ის გაგზავნეს ვევეში ჟენევის ტბაზე; აქ მან იმდენად მოიკეთა, რომ ნება მისცეს ზამთარი გაეტარებია — მართალია, არა ლონდონში, — მაგრამ ინგლისის სამხრეთ-ნაპირზე მაინც. როცა სექტემბერში დაბრუნდა ლონდონში, ისე ჯანსაღად გამოიყურებოდა, რომ ჩემთან ერთად ხშირად ადიოდა ჰემპსტედის გორაკზე (დაახლოებით 300 ფუტით უფრო მაღლა იმს სახლზე). როცა ჩამოწვა ნოემბრის ნისლი, ის გაგზავნეს ვენტნორზე, უაიტის კუნძულის სამხრეთ ნაწილში. მაგრამ აქაც იდგა წვიმიანი და ნისლიანი ამინდი; ამის აუცილებელი შედეგი — ახალი გაციება, ხველა და სხვ., ერთი სიტყვით — ჯანმრთელობის შემრყევი შინაური პატიმრობა, ნაცვლად გამამაგრებელი მოძრაობისა წმინდა ჰაერზე. ამ დროს გარდაიცვალა ქ-ნი ლონგე. მეორე დღეს (12 იანვარს) მარქსი დაბრუნდა ლონდონში ნამდვილი ბრონხიტით. ამას ჩქარა დაემატა ყორყის ანთება, რამაც თითქმის სრულიად წაართვა მას ყლაპვის საშუალება. ის, ვინც შეჩვეული იყო მტკიცე გულგრილობით გადაეტანა უდიდესი ტანჯვანი, ამჯობინებდა დაელია ლიტრი რძე (რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში სძულდა), ვიდრე მიეღო შესაფერი მაგარი საჭმელი. თებერვალში აღმოაჩინეს სიმსივნე ფილტვში. წამალი უკვე აღარ მოქმედობდა ამ ორგანიზმზე, რომელიც უკანასკნელი 15 თვის განმავლობაში შეეჩვია ყოველგვარ სამედიცინო საშუალებას. ისინი იწვევდენ მხოლოდ მადისა და საჭმელის მონელების შესუსტებას. იგი ყოველდღიურად შესამჩნევად ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ავადმყოფობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. ბრონხიტმა თითქმის სრულიად გაიარა, ყლაპვა გაადვილდა. ექიმები იძლეოდნენ საუკეთესო იმედებს. ერთხელ, როცა მივედით მასთან ორსა და სამ საათს შუა — ეს იყო ყველაზე მოხერხებული დრო მის სანახავად,— მე მთელი სახლი აცრემლებული დამხვდა. ის ძლიერ ცუდად არის, როგორც ჩანს, იწყება აღსასრული. მაგრამ მაინც, — მიამბობდნენ მე, — მან სიამოვნებით დალია ღვინო, რძე, შესჭამა სუპი. მოხუცი ერთგული ლენხენ დემუტ, რომელმაც აკვანიდან აღზარდა ყველა მისი ბავშები და 40 წელიწადი ცხოვრობდა მის სახლში, შევიდა მის ოთახში და იმ წამსვე დაბრუნდა: „წავიდეთ, ის თვლემს". როცა ჩვენ შევედით მას ეძინა, მაგრამ ეძინა სამუდამო ძილით. არ შეიძლება ისურვო იმაზე იოლი სიკვდილი, ვიდრე ის, რომელიც კარლ მარქსმა იპოვა თავის სავარძელში...

*) ფ. ენგელსის წერილიდან ციურიხის „სოციალ-დემოკრატ"-ში (1883 წ., 3 მაისი). ამონაწერი ამოღებულია საქ. ქ. პ. (ბ) ცეკასთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ბროშურიდან: ფ. ენგელსი — „1883 წ. 14 მარტი".



სახლი ლონდონში სადაც გარდაიცვალა მარქსი.

# ენგელსის სიტყვა მარქსის საფლავზე

14 მარტს ნაშუადღევის 2 საათსა და 45 წუთზე შესწყვიტა აზროვნება უდიდესმა თანამედროვე მოაზროვნეებიდან. იგი მარტო დასტოვეს მხოლოდ ორი წუთით; როცა ოთახში შევედით, ჩვენ იგი ვნახეთ წყნარად დაძინებული სავარძელში, მაგრამ უკვე სამუდამოთ.

ევროპისა და ამერიკის მებრძოლი პროლეტარიატისათვის, ისტორიული მეცნიერებისათვის ამ ადამიანის სიკვდილი—გაუზომელი დანაკლისია. უკვე უახლოეს დღეებში გახდება შესამჩნევი სიცარიელე, რომელიც წარმოიშვა ამ გიგანტის სიკვდილის შემდეგ.

მსგავსად იმისა, როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანიული სამყაროს განვითარების კანონი, მარქსმა აღმოაჩინა ადამიანთა ისტორიის განვითარების კანონი: ის, უკანასკნელ დრომდე იდეოლოგიური დანალექებით დაფარული ფაქტი, რომ ადამიანებმა უნდა სჭამონ, სვან, იქონიონ ბინა და იცვან — სანამ შესაძლებლობა ექნებათ ხელი მოჰკიდონ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვ. რომ მაშასადამე, უშუალო მატერიალური საარსებო საშუალებების წარმოება და ამით ხალხის ან ეპოქის ეკონომიური განვითარების თვითეული გარკვეული საფეხური ქმნის საფუძველს, რომლიდანაც ვითარდება სახელმწიფო დაწესებულებები, უფლებრივი შეხედულებანი, ხელოვნება და გარკვეულ ადამიანთა რელიგიური წარმოდგენებიც კი და რომლიდანაც, მაშასადამე ისინი ახსნილი უნდა იქნან,—და არა პირიქით, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

მაგრამ ეს ცოტაა. მარქსმა აღმოაჩინა აგრეთვე წარმოების თანამედროვე კაპიტალისტური წესის და მის მიერ წარმოშობილი ბურჟუაზიული საზოგადოების სპეციალური კანონი. დამატებითი ღირებულების აღმოჩენით ამ დარგში იმ წამსვე სინათლე იქნა შეტანილი იმ დროს, როცა ყველა წინანდელი, როგორც ბურჟუაზიულ ეკონომისტების, ისე სოციალისტური კრიტიკოსების გამოკვლევები სიბნელეში ხეტიალს წარმოადგენდა.

ორი ასეთი აღმოჩენა საკმაო იქნებოდა ერთი სიცოცხლისათვის. ბედნიერი იქნებოდა ის, ვისაც ხვდებოდა ერთი ასეთი აღმოჩენა. მაგრამ მარქსს ეკუთვნის დამოუკიდებელი აღმოჩენები თვითეულ დარგში, რომელიც მან გამოიკვლია,—მათემატიკის დარგშიც კი,—ასეთი დარგები კი არც ისე ცოტა იყო, და არც ერთი მათგანისათვის ზერელედ არ მოუკიდებია ხელი.

ასეთი იყო მარქსი, როგორც მეცნიერების ადამიანი. მაგრამ ეს კი არ ყოფილა მასში მთავარი. მეცნიერება მარქსისათვის იყო ისტორიულად მამოძრავებელი რევოლუციონური ძალა. რა ცოცხალ სიხარულსაც არ გვრიდა მას თითეული ახალი აღმოჩენა ყოველ თეორეტიულ მეცნიერებაში, რომლის პრაქტიკულ გამოყენებაზე ჯერ კიდევ ლაპარაკიც კი არ ყოფილა,—მისი სიხარული სულ სხვა იყო, როდესაც საქმე ეხებოდა აღმოჩენას, რომელიც დაუყოვნებლივ ახდენდა რევოლუციონიურ ზეგავლენას მრეწველობაზე, საერთოდ ისტორიულ განვითარებაზე. ასე, მაგალითად, ის ყურადღებით ადევნებდა თვალყურს აღმოჩენათა განვითარებას ელექტრობის დარგში, და უკანასკნელ ხანებში, კერძოდ, მარსელ დეპრეს აღმოჩენებს *).

*) მარსელ დეპრე — ფრანგი მეცნიერი, ფიზიკოსი, ენერგიის შორ მანძილზე გადაცემის შესახებ პირველი ცდების ავტორი.



მარქსის წერილი ენგელსს (1867 წ. 16 აგვისტო).

### „კაპიტალის“ კორექტურის დამთავრების ღამეს.

ამ წერილში მარქსი სწერს ენგელსს: „მხოლოდ შენ უნდა გიმადლოდე იმას, რაც შესაძლებელი შეიქნა. შენი თვითგანწირვის გარეშე მე ვერასდროს ვერ შევსძლებდი შემესრულებია უდიდესი მუშაობა რაც დასჭირდა სამ ტომს. გიკრავ გულში, მადლობით აღსავსე. სალამი ჩემო ძვირფასო, ერთგულო მეგობარო.

შენი კ. მარქსი“.







4

Probeblatt.

Kommunistische Zeitschrift.

„Proletarier aller Länder vereinigt Euch!“

Nr. 1. London, im September 1847. Preis 2 Pence.

Einleitung.

1. მარქსის წერილი ენგელსს
2. კარლ მარქსი — 60 იან წლების პორტრეტი
3. ფ. ენგელსი ახალგაზრდობაში.
4. პირველი ნომერი გაზეთისა „კომმუნისტიშე ცაიტშრიფტ“, რომელიც 1847 წ. გამოვიდა ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ვინაიდან მარქსი პირველ ყოვლისა იყო რევოლიუციონერი, ამა თუ იმ გზით მონაწილეობის მიღება კაპიტალისტური საზოგადოების და მის მიერ შექმნილი სახელმწიფო დაწესებულებების დანგრევაში, მონაწილეობის მიღება თანამედროვე პროლეტარიატის განთავისუფლებაში, რომელსაც მან პირველად მისცა მისი საკუთარი მდგომარეობისა და საჭიროების შეგნება, მისი განთავისუფლების პირობების შეგნება,—აი რა იყო სინამდვილეში მისი სასიცოცხლო მოწოდება. მისი სტიქია იყო ბრძოლა. და ისიც იბრძოდა ისეთი გატაცებით, ისეთი დაჟინებით, ისეთის წარმატებით, როგორითაც ცოტანი იბრძვიან. პირველი „რეინის გაზეთი" 1848 წ., პარიჟის „წინ", 1844 წ., „ბრიუსელის გერმანული გაზეთი" 1847 წ., „ახალი რეინის გაზეთი", 1848 — 1849 წ., „ნიუ-იორკის ტრიბუნა" 1852—1861 წ.წ. და ამას გარდა უამრავი მებრძოლი ბროშურები, მუშაობა პარიზის, ბრიუსელის ორგანიზაციებში ხანამ, დაბოლოს, როგორც ყოველივე ამის დაგვირგვინება არ წარმოიშვა „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა"*) ეს იყო საქმე, რომლითაც მართლა შეეძლო ეამაყნა იმას, ვინც იგი შექმნა, რომც მას გარდა ამისა სხვა არაფერი გაეკეთებია.

აი რატომ იყო მარქსი ადამიანი, რომელიც ყველაზე უფრო სძულდათ და რომელსაც ყველაზე მეტად სწამებდნენ ცილს. მთავრობები — თვითმპყრობელურიც და რესპუბლიკანურიც — აძევებდნენ მას; ბურჟუები — კონსერვატიულიც და ულტრა-დემოკრატიულნიც — ერთმანეთს ეცილებოდნენ მის წყევლა - კრულვაში და ცილისწამებაში. ის იცილებდა ყოველივე ამას, როგორც აბლაბუდას, არ უთმობდა მას ყურადღებას, პასუხს აძლევდა მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში. და მოკვდა ის, ვისაც პატივს სცემენ, ვინც უყვართ და ვისაც დასტირიან მილიონობით რევოლიუციონერი მებრძოლები მთელს ევროპასა და ამერიკაში, ციმბირის მაღაროებიდან, კალიფორნიამდე, და მე შემიძლია თამამად ვსთქვა: მას შეიძლება ჰყოლოდა მრავალი მოწინააღმდეგე, მაგრამ საეჭვოა ჰყოლოდეს თუნდაც ერთი პირადი მტერი.

მისი სახელი და საქმეები საუკუნოების განმავლობაში იქნება ცოცხალი!

*) პირველი ინტერნაციონალი.

# მარქსის საფლავზე*)

1883 წლის 14 მარტი... სულ ორიოდე წუთის წინ ენგელსი გავიდა ოთახიდან. დაბრუნდა და მისი მეგობარი დახვდა მკვდარი, თავდახრილი სავარძელში...

... პატარა სამგლოვიარო პროცესია უახლოვდება საფლავის გორაკს, რომელზედაც სწერია:

**„ჟენნი ფონ-ვესტფალენ, კარლ-მარქსის საყვარელი ცოლი. დაიბადა 1814 წ. 12 თებერვალს, გარდაიცვალა 1881 წ. ორ დეკემბერს".**

ეს იყო შაბათს, 17 მარტს.

ენგელსმა მწუხარებით დახარა თავი. მის გვერდით—ლესნერი და ლოხნერი—მარქსის ეს ორი ყველაზე ძველი მეგობარი ჯერ კიდევ კომუნისტური კავშირიდან. საფრანგეთიდან ...კრძალვაზე ჩამოვიდა ლაფარგი და მარქსის სიძე—ლონგე. გერმანია წარმოდგენილი იყო მხოლოდ ლიბკნეხტით. იქვე მეცნიერების ორი მოღვაწე. ქიმიკოსი შორლემერი და ზოოლოგი რეი ლანკასტერი.

უდიდესი მებრძოლის ნეშტი ჩაუშვეს საფლავში. ენგელსი გამოდის წინ. ინგლისურ ენაზე ის ამბობს უკანასკნელ სიტყვას მეგობრის ნეშტთან.

— „14 მარტს, ნაშუადღევის 2 საათსა 45 წუთზე, შესწყვიტა აზროვნება თანამედროვეობის უდიდესმა მოაზროვნემ. ორი წუთის შემდეგ, რაც ჩვენ დავსტოვეთ, ჩვენ ვნახეთ იგი წყნარად მიძინებული თავის სავარძელში"...

დაბლა სასაფლაოს წინ გაშლილია ლონდონი. ტლანქი კეხები გრუხუნით მიაგორებენ ბორბლებს რიყულზე. გათხრილ საფლავთან დუმილით დგანან მეგობრები იმის, ვინც იყო არა მარტო თანამებრძოლი, არამედ მეგობარიც. სწრაფად გაიელვებენ გონებაში გავლილი წლები... ისინი, თითქო დაუვიწყარი მოთხრობა, ცოცხლდებიან თვითეულ ფურცლობით. 1847 წ. გაზაფხული... მარქსი და ენგელსი ფარულ პროპაგანდისტულ საზოგადოებაში „კომუნისტების კავშირი". ნოემბერი... ორივენი მონაწილეობას იღებენ საზოგადოების მეორე ყრილობაზე ლონდონში. ყრილობა ავალებს მათ შეადგინონ „კომუნისტური პარტიის მანიფესტი".. 1848 წ. თებერვალი... „მანიფესტი" დაიბეჭდა და გამოვიდა.

მეხსიერებაში ცოცხლდება მარქსი, რომელიც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ყურადღებით აწარმოებდა რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის შესწავლას. აი ის ათვალიერებს სტატისტიკურ ცნობებს რუსეთის ეკონომიკის შესახებ, გამოგზავნილს ნიკოლოზ ონ-ის მიერ., აი ის, თავჩაღუნული ჩერნიშევსკის ან დობროლიუბოვის ტომებზე, ან სალტიკოვ-შჩედრინის გესლიანი გვერდების მფურცლავი, მარქსი კითხულობს რუსულად... მან ენგელსთან ერთად შეისწავლა ეს ენა. მან კიდეც სცადა ეწერა ამ ენაზე...

...ენგელსი განაგრძობს სიტყვას.

...„ის გარდაიცვალა, ევროპაში და ამ... რიკაში, ციმბირის მაღაროებიდან კალიფო... რნიამდე გაფანტულ მილიონ რევოლიუცი... ონერ თანამშრომლების პატივისცემით, ს... ყვარულით და ნდობით აღჭურვილი... მე შემიძლია თამამად ვსთქვა: მას ჰყავ... მრავალი მოწინააღმდეგე, მაგრამ საეჭ... ჰყოლოდეს თუნდაც ერთი პირადი მტერ... მისი სახელი ცოცხლად გაივლის საუკუ... ებს, საუკუნეებს გაივლის მისი შრომ...ბიც".

დადუმდა ენგელსი...

ლონდონი... აქ მარქსმა გაატარა თავი... ცხოვრების თითქმის ნახევარი, თავის ს... შობლოდან განდევნილმა, დევნილმა რე... ციონური ევროპის ყველა ძალების მი... 1849 წ. 13 ივნისს მან უკანასკნელად და... ტოვა მისი ნაპირები, რომ უკვე აღარ და... ბრუნებულიყო იქ საცხოვრებლად. აქ, ლონ... დონში, 1864 წ. 28 სექტემბერს დაარ... სებულ იქნა 1-ლი ინტერნაციონალი „მუშ... თა საერთაშორისო ამხანაგობის" სახე... წოდებით...

მარქსის საფლავი... იგი მდებარე... ზეიგეტის სასაფლაოს ყველაზე შორე... კუთხეში. მასზე არ სდგას არც დიდებუ... მონუმენტები, მასზე არ არის დადგმუ... მაღალფარდოვანი წარწერები. მხოლოდ ... რალოდ:

**„ჟენნი ფონ-ვესტფალენ—**

**კარლ-მარქსის საყვარელი ცოლი, და... იბადა 1814 წ. 12 თებერვალს, გარდ... იცვალა 1881 წ. 2 დეკემბერს, ...**

**კარლ მარქსი**

**დაიბადა 1818 წ. 5 მაისს, გარდაიცვა... ლა 1883 წ. 14 მარტს.**

**და ჰარრი ლონგე**

**მათი შვილისშვილი, დაიბადა 1878 ... 4 ივნისს, გარდაიცვალა 1883 წ. ... მარტს.**

**და ელენა დემუტ**

**დაიბადა 1823 წ. 1 იანვარს, გარდაი... ვალა 1890 წ. 4 ნოემბერს".**

... ჩვენ გვირგვინით შევამკეთ ეს ძვირ... ფასი საფლავი. ცალკე დახურულ ავტო... მოიტანეს ეს გვირგვინი. დანარჩენი დღე... გაცია მოდიოდა ტურისტთა ავტობუსი... შემოსასვლელთან მოხუცმა დამკვრელმ... აიღეს გვირგვინი და პროცესია დაიძ... მარმარილოს მონუმენტების გასწვრივ, მ... კლე სიტყვა. მოკლე მოგონებები მარქს... ცხოვრების შესახებ ლონდონში... ჩვენ გვ... რგვინით ვამკობთ საფლავს... იმღე... ლენტები. მათზე: **„დიდ მასწავლებე... საბჭოთა კავშირის დამკვრელებ... საგან, რომლებიც ლენინურად ა... ხორციელებენ მის მოძღვრებას".**

ყუთის შავ ხავერდზე მეორე წარწ... რა: **„კარლ მარქსს საბჭოთა კავშ... რის მუშებისაგან, რომლებიც აშ... ნებენ სოციალიზმს".**

დუმილი... ვიღაც სტოვებს საფლავზ... ცოცხალ ყვავილთა თაიგულს.

რატომ საბჭოთა კავშირში არ არის ... საფლავი?

საბჭოთა კავშირს ხომ სურდა გადმო... ტანა მარქსის ნეშტი წითელ მოედანზ... მაგრამ საფლავი „საკუთრებაა" მისი ნათ... სავების. მათ შორის არის ფრანგი სოცი... ალ-ფაშისტი ლონგე, შვილი იმისა, ვინ... იდგა მარქსისათვის გათხრილ საფლავ... პირას...

... მაგრამ ეს ძვირფასი, დიდი ნეშ... მაინც იქნება წითელ მოედანზე.

ზ. ფრიდმანი



ქ. მარქსის საფლავი.

*) ამოღებულია „კომს. პრავდ." მოთავსებულ კორესპონდენციიდან საბჭოთა დამკვრელების მოგზაურობის შესახებ უცხოეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა პირობებში ცხოვრობდა მარქსი

## ჟენნი მარქსის წერილი ვეიდემეერს

იმის საილუსტრაციოთ, თუ როგორი საშინელი გაჭირვების პირობებში უხდებოდა ცხოვრება პროლეტარიატის დიდ მასწავლებელს ვათავსებთ ჟენნი მარქსის წერილს მარქსის ძველი მეგობრის ი. ვეიდემეერის სახელზე. ლენინი მარქსის ბიოგრაფიაში სწერს: „ემიგრანტული ცხოვრების პირობები, რაც განსაკუთრებით ცხადათ გაშუქებულია მარქსის მიწერ-მოწერაში ენგელსთან, უაღრესად მძიმე იყო. გაჭირვება პირდაპირ ახრჩობდა მარქსს და მის ოჯახს; თუ არა ენგელსის მუდმივი თავგამოდებული ფინანსიური დახმარება, მარქსი არა თუ ვერ დაამთავრებდა „კაპიტალს", არამედ დაიღუპებოდა სილატაკის კლანჭებში"-ო.

ჟენნი მარქსი ჰხატავს ემიგრანტული ცხოვრების მხოლოდ ერთ დღეს, მაგრამ რამდენი ასეთი მძიმე დღეები იყო მათი ემიგრანტული ცხოვრების ორმოცი წლის მანძილ ზე!

**1851 წ. 20 მაისი.**

ძვირფასო ბ. ვეიდემეერ!

უკვე წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ თქვენს ძვირფას მეუღლესთან ერთად ასე გულმხურვალედ მიმიღეთ და მე თქვენს სახლში თავს ვგრძნობდი ისე კარგად, და მშვენიერად, და მთელი ამ დიდი დროის განმავლობაში მე სიცოცხლის ნიშანწყალიც არ მომიცია. მე არ გამიცია პასუხი თქვენი მეუღლის მშვენიერ წერილზე, მე ასევე არაფრით გამოვხმაურებივარ ცნობას თქვენი ბავშის დაბადების შესახებ. ეს დუმილი ხშირად მე თვითონ მაწუხებდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, მე არ მქონდა წერის შესაძლებლობა და დღესაც მე ეს ძლიერ მიმძიმს.

მაგრამ გარემოება მაიძულებს ხელში ავიღო კალამი — მე გთხოვთ, შეძლებისდაგვარად საჩქაროდ გადმომიგზავნოთ რევიუდან შემოსული ან აწი მისაღები თანხები. ისინი ჩვენ ძლიერ, ძლიერ გვჭირდება. ჩვენ უსათუოდ ვერვინ გვისაყვედურებს, რომ ბევრს ვლაპარაკობდით იმის შესახებ, თუ რა გადაგვხვდა ამ წლებში და რამდენი მსხვერპლი გავიღეთ; ჩვენ პირადი საქმეებით ძლიერ ცოტას ან თითქმის სრულიად არ ვაწუხებდით საზოგადოებას. ჩემი ქმარი ამ მხრივ მეტად მგრძნობიარეა და უკანასკნელს გასწირავს, სანამ მიმართავდეს დემოკრატიულ დახმარებას, მსგავსად დიდი ოფიციალური პირებისა, მაგრამ უსათუოდ რისი იმედიც უნდა ჰქონოდა მას თავისი მეგობრების მხრივ, განსაკუთრებით კელნში — ეს იმედი საქმიანი და ენერგიული მონაწილეობისა მის „Reue"-ში ამ დახმარების იმედ მას უნდა ჰქონოდა. იქ სადაც ცნობილია მსხვერპლი. გაწეული მის მიერ, „Neu Rheinishe Leitung" ისათვის. ნაცვლად ამისა, უწესრიგო და უყურადღებო ხელმძღვანელობის წყალობით, საქმე სრულიად დანგრეულია და გამოურკვეველია, თუ რა აღმოჩნდა უფრო საზიანო — შეფერხება წიგნით მოვაჭრეების ან საქმის ხელმძღვანელების და კელნელ ნაცნობების მხრივ, თუ დემოკრატიის დამოკიდებულება.

აქ ჩემი ქმარი თითქმის წელში გასტეხა წვრილმანმა ყოველდღიურმა საზრუნავმა და ეს მელავნდება ისეთ აღმაშფოთებელ ფორმებში, რომ საჭირო შეიქნა მთელი მისი ენერგია, მთელი მისი არსების მშვიდი, ნათელი და წყნარი თვითშეგნება, რომ დაეცვა თავი ამ ყოველდღიური და ყოველი საათის ბრძოლაში. თქვენ იცით, ძვირფასო ბ. ვეიდემეერ, თუ რა მსხვერპლი გაიღო ჩემმა ქმარმა გაზეთისათვის. ათასობით ნაღდი ფული დააბანდა მან მასში, დარწმუნებულმა პატიოსან დემოკრატების მიერ, გახდა გაზეთის მესაკუთრე მაშინ, როცა ცოტა იმედები იყო, რომ გაზეთი გავრცელდებოდა. რომ დაეცვა გაზეთის პოლიტიკური ღირსება და თავის კელნელ ნაცნობების მოქალაქეობრივი ღირსება. მან ნება მისცა მისთვის დაეკისრებიათ მთელი სიმძიმე, მან მისცა თავისი მანქანა, მან მისცა მთელი თავისი შემოსავალი, წასვლის დროსაც კი 300 ტალერი ასესხა ახალი ბინის საიჯარო ქირისა და რედაქტორისათვის ჰონორარის ნაშთის გადასახდელად და სხვ. თქვენ იცით, რომ ჩვენთვის ჩვენ არაფერი შეგვინახავს; მე ფრანკფურტში გავემგზავრე, რომ დამეგირავებია ჩემი ვერცხლი—უკანასკნელი, რაც ჩვენ შეგვრჩა. კელნში მე გავყიდე



ჟენნი ფონ-ვესტფალენ

ჩემი ჭვეჯი. როცა დაიწყო კონტრ-რევოლიუციის უბედური ეპოქა, ჩემი ქმარი გაემგზავრა პარიზში, მე სამი ბავშით გავჰყევი მას. მოწყობილი არც კი ვიყავით პარიზში, რომ კვლავ გაგვაძევეს; მე ბავშებით მომცეს მეტი ხნით დარჩენის უფლება. მე მას კვლავ გავყევი. ზღვა გადავლახე. ერთი თვის შემდეგ დაიბადა ჩვენი მეოთხე ბავში. თქვენ უნდა იცნობდეთ ლონდონს და აქაურ პირობებს, რომ წარმოიდგინოთ, თუ რას ნიშნავს ეს: სამი ბავში და მეოთხეს გაჩენა. მარტო ოთახი 42 ტალერი გვიჯდებოდა თვიურად. ყოველივე ამის გადახდას ჩვენ ვახერხებდით ჩვენი საკუთარი საშუალებებიდან. მაგრამ როცა გაჩნდა „Reue", ჩვენი პატარა რესურსები ამოიწურა. წინაამდეგ შეთანხმებისა, ფულები, საერთოდ, არ შემოდიოდენ ან შემოდიოდა ძლიერ თანხები და ჩვენ საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდით.

მე თქვენ აგიწერთ ამ ცხოვრების მხოლოდ ერთ დღეს იმ სახით, როგორადაც ეს იყო სინამდვილეში და თქვენ დარწმუნდებით, რომ, ალბათ, ძლიერ ცოტა ემიგრანტს, განუცდია მსგავსი რამ. რადგან ძიძები აქ მიუწვდომელია, მე გადავსწყვიტე, გულში და ზურგში მუდმივი საშინელი ტკივილების მიუხედავად, საკუთარი ძუძუთი მეკვება ბავში. მაგრამ საბრალო პატარა ანგელოზი ჩემგან იმდენ საზრუნავს და წყნარ მწუხარებას იწოვდა, რომ განუწყვეტლივ ავადმყოფობდა და დღეებს და ღამეებს განუწყვეტელ ტანჯვაში ატარებდა. გაჩენის მომენტიდან მას ერთი ღამეც არ უძინია; მაქსიმუმი მხოლოდ ორი - სამი საათი. უკანასკნელ ხანებში ამას დაემატა კიდევ მეტად ძლიერი კრუნჩხვა, ასე, რომ ბავში მუდმივად სიკვდილ - სიცოცხლეს შუა იმყოფებოდა. ტკივილების გამო ის ისე ძლიერად სწოვდა, რომ ჩემი ძუძუ ჭრილობებით დაიფარა და დასკდა, ხშირად მის პატარა აკანკალებულ პირში სისხლი მიწვეთავდა. ერთხელ მე ასე ვიჯექი. როცა შემოვიდა ჩვენი ბინის პატრონი ქალი, რომელმაც ზამთრის განმავლობაში ჩვენგან 250 ტალერზე მეტი მიიღო და რომელთანაც დადებული კონტრაქტით გათვალისწინებული იყო, რომ შემდეგში ჩვენ ფულს მივსცემთ არა მას, არამედ სახლის პატრონს, რომელსაც მანამდე აწერილი ჰქონდა მისი ქონება. ახლა იგი უარჰყოფს კონტრაქტს და მოითხოვს — გადაუხადოთ მას 5 გირი სტერლინგი, რომელიც ჩვენ დაგვრჩა მისი და ვინაიდან იმ წუთს ეს ფული არ გვქონდა, სახლში გაჩნდა ორი ეგზეკუტორი, რომლებმაც ყადაღა დაადვეს მთელს ჩემს პატარა ქონებას — საწოლებს, საცვლებს, ტანსაცმელს, ყველაფერს, ჩემი პატარა ბავშის აკვანსაც, საუკეთესო სათამაშოებს ჩემი გოგონებისას, რომლებიც იქვე ცხარე ცრემლებით სტიროდნენ. ისინი იმუქრებოდნენ, რომ ორი საათის შემდეგ ყველაფერს გაიტანებენ — მაშინ მე ცარიელ მიწაზე უნდა დავრჩენილიყავი ჩემი გაყინული ბავშებით, ჩემი ავადმყოფი გულით. ჩვენი მეგობარი შრამი მიეშურება ქალაქში. რომ დაგვეხმაროს. ჯდება ეტლში, ცხენები გაექანენ, ის გადმოხტა და გასისხლიანებული შემოიტანეს ჩვენთან სახლში, სადაც მე ვქვითინებ ჩემს აკანკალებულ ბავშვებთან ერთად.

ერთი დღის შემდეგ ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეტოვებია ეს სახლი. იყო სიცივე, წვიმა და ნისლი. ჩემი ქმარი ეძებს ჩვენთვის ბინას, მაგრამ როცა ახსენებს ოთხ ბავშს, არავის უნდა ჩვენი მიღება. დაბოლოს, ჩვენ გვეხმარება ერთი მეგობარი, ჩვენ ვქირაობთ. მე სასწრაფოდ ვყიდი ყველა ჩვენს საწოლებს, რომ გადაუხადო ვალი მეაფთიაქეს, მეპურეს, ყასაბს, რომლებიც დააფრთხო ქონების აწერის სკანდალმა და გამოეშურენ ჩვენთან თავიანთი ანგარიშებით. გაყიდული საწოლები გაიტანეს გარეთ და დასდვეს ურემზე. რა მოხდა? მზე დიდი ხნის ჩასული იყო, ინგლისის კანონი ამას კრძალავს, იჭრება სახლის პატრონი პოლიციელით და ამტკიცებს, რომ არ შეიძლება იყოს მისი ნივთები და რომ შესაძლებელია, ჩვენ საზღვარგარეთ გვინდა გაპარვა. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ჩვენს კარებთან მოგროვდა ორასიდან სამასამდე

კაცი, ჩელზის ყველა ბნელი ელემენტებს. ჩვენ საწოლები უკან შემოვიტანეთ და მხოლოდ მეორე დილით, მზის ამოსვლის შემდეგ ისინი ჩაბარდა მყიდველს. და აი, როცა მთელი ჩვენი ქონების გაყიდვის შედეგად ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ჩავვარდით, რომ მოგვიხდა თითეული გროშის გადახდა, მე ჩემს პატარა საყვარელი ბავშვებით გადავედი ჩვენს ახლანდელ ორს პატარა ოთახში გერმანულ სასტუმროში, სადაც 5 ნახ. გირ. სტერლინგათ კვირაში შევხვდით ადამიანურ მოპყრობას.

მაპატიეთ მე ძვირფასო მეგობარო, რომ ასე ვრცლად აგიწერეთ ჩვენი აქაური ცხოვრების მხოლოდ ერთი დღე; მე ვიცი ეს არ არის კარგი, მაგრამ ღეს, საღამოს ჩემი გული მიისწრაფოდა ჩემს აკანკალებულ ხელში და მე ოდესმე უნდა შემემსუბუქებია იგი ჩვენი ყველაზე ძველი, საუკეთესო და საიმედო მეგობრის წინაშე. არ იფიქროთ, რომ ამ წვრილმანმა ტანჯვამ გამტეხა მე. მე ძლიერ კარგად ვიცი, რომ ჩვენი ბრძოლა არ არის განცალკევებული და რომ სწორედ მე ვეკუთვნი იმ რჩეულ ბედნიერებს, რომელთაც მფარველობს ბედი, ვინაიდან ჩემს ახლო არის ჩემი ძვირფასი ქმარი, ჩემი ცხოვრების დასაყრდენი. მაგრამ, რაც ნამდვილად მაყენებს ტანჯვას ქრიოლობას და გულს მიკლავს, ეს არის ის, რომ ჩემს ქმარს მოუხდა ამდენი ყოველდღიური წვრილმანების გადატანა. მე ძლიერ ცოტა დახმარების აღმოჩენა შემეძლო და რომ ის, რომელიც ასე ბევრს ეხმარებოდა სიამოვნებით და სიხარულით, დღეს მოკლებულია ყოველგვარ დახმარებას. მაგრამ არ იფიქროთ, ძვირფასო ბ. ვეიდემეიერ, რომ ჩვენ ვინმესგან რაიმე მოთხოვნილებებს უდგენთ. ერთად ერთი რასაც ჩემი ქმარი მოითხოვს იმათგან, ვინც ფიქრობს მასზე, აფასებს მას და სჯერა მისი, ეს არის — საქმიანი ენერგიის გაშლა და მონაწილეობა მის Revue-ში. მე ამას ვამტკიცებ გაბედულად და სიამაყით. ვალდებული იყვნენ მისთვის გაეკეთებინათ ის ცოტაოდენი. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში არავინ დარჩენილა მოტყუებული. ყველაფერი ეს მტანჯავს მე. მაგრამ ჩემი ქმარი ყოველივე ამას სხვანაირად უყურებს: მას ჯერ არასოდეს, უსაშინლეს მომენტშიაც კი, არ დაუკარგავს მომავლის იმედი, საუკეთესო განწყობილება და ყოველთვის სრულიად კმაყოფილი იყო, როცა ხედავდა, რომ მე მხიარული ვარ და რომ ჩვენი ძვირფასი ბავშვები თავიანთ ძვირფას დედიკოს ეალერსებიან. მან ძვირფასო ბ. ვეიდემეიერ, არ იცის, რომ მე ასე დაწვრილებით მოგწერეთ ჩვენს მდგომარეობაზე; ამრიგად, მე გთხოვთ, არ გამოიყენოთ ეს სტრიქონები. მან მხოლოდ ის იცის, რომ მე მისი სახელით გთხოვთ თქვენ შეძლებისდაგვარად იზრუნოთ ფულების მიღებაზე და გადმოგზავნაზე.

ნახვამდის ძვირფასო მეგობარო! გადაეცით თქვენს ცოლს ჩემი გულითადი სალამი. თქვენს პატარა ანგელოზს კი კოცნა ერთი დედისაგან, რომელსაც ბევრი ცრემლი დაუღვრია თავის პატარა ყრმაზე. ჩვენი სამი ბავში. წინააღმდეგ ყველასი და ყოველივესი, მშვენივრად ვითარდება, გოგონები — ლამაზები, ცქრიალა, მხიარული და ყოველთვის კმაყოფილი არიან. ჩვენი სქელი ბიჭონა კი, — ეშმაკი, იუმორით და უალრესად ქკუამახვილი სიცილით სავსეა. პატარა ეშმაკუნა მთელი დღე საშინელი ხმით და პათოსით მღერის და როცა ის მღერის ფრეილიგრატის მარსელიეზის სიტყვებს:

„ო, მოდი ივნისო და მოგვიტანე ჩვენ ამბები, გული ისწრაფვის ახალ საქმეებისაკენ“, — მთელი სახლი ზანზარებს. შესაძლოა ამ თვეს ჰქონდის თავისი მსოფლიო ისტორიული მოწოდება ისე, როგორც მის ორ უბედურ წინამორბედს — დაიწყოს დიდი ბრძოლა, როცა ჩვენ შეძლება მოგვეცემა კვლავ მივსცეთ ერთმანეთს ხელი. ნახვამდის!

# კ. მარქსი და პარიზის კომუნა

მსოფლიო მუშათა კლასის ერთ-ერთი უდიდესი ბელადის გარდაცვალების 50 წლის თავზე და პარიზის კომუნის 62 წლის თავთან დაკავშირებით ინტერეს მოკლებული არ იქნება მოკლეთ მაინც გახსენება იმ როლის, რომელიც 1-ლ ინტერნაციონალმა და კერძოთ კარლ მარქსმა ითამაშა პარიზის კომუნის ისტორიაში.

კომუნა არ ყოფილა ინტერნაციონალის საქმე. მისი პარიზის სექციები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ იმ მასიურ მოძრაობაში (1870 წ. 31 ოქტომბრის და 1871 წ. 22 იანვრის), რომლებმაც მოამზადეს პარიზის კომუნა. 18 მარტის რევოლიუცია ინტერნაციონალის მონაწილეობის გარეშე მოხდა. ამიტომ იყო, რომ ენგელსი შემდეგში სწერდა ზორგეს, რომ ინტერნაციონალს „თითიც კი არ გაუნძრევია, რათა ის (კომუნა) სასიცოცხლოთ გამოეწვია“, თუმცა უკანასკნელი მისი „უნებლიე“ „სულიერი“ შვილი იყო.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ინტერნაციონალის პარიზის სექციების ბელადებში უმრავლესობა ეკუთვნოდა წვრილბურჟუაზიულ რევოლიუციონერებს — იაკობინელებს და ბლანკისტებს (კომუნაში არჩეულ ინტერნაციონალის წევრებს შორის არც ერთი მარქსისტი არ აღმოჩნდა). ეს ხალხი სიტყვიერათ აღიარებდა სოციალისტურ პროგრამას, მაგრამ საქმით უარჰყოფდა პოლიტიკურ ბრძოლას და ძალაუფლების დაპყრობას სოციალისტური პროგრამის განსახორციელებლად.

მარქსისთვის და ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოსთვის, სადაც მარქსი ხელმძღვანელ როლს თამაშობდა, ცხადი იყო ყველა ის სიძნელეები, რომლებიც ელობებოდენ კავშირს ალყაშემორტყმულ პარიზის მშრომელებთან. მიუხედავად ამისა, მარქსმა პირდაპირ არადამიანური მუშაობა შეასრულა ამ კავშირის დასამყარებლად. უკანასკნელი წლების განმავლობაში აღმოჩენილი ახალი დოკუმენტები ამას ნათლად მოწმობენ და ადასტურებენ, რომ მარქსის დამოკიდებულება კომუნასთან არ ამოიწურება გენერალურ საბჭოს სამი მიმართვის ავტორობით (იხ. „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“). არამედ ბევრად სცილდება პარიზის კომუნის ამბებში ლიტერატურული მონაწილეობის ფარგლებს.

სედანთან საფრანგეთის არმიის საბოლოო დამარცხების, ნაპოლეონ მესამის ტყვეთ წაყვანისა და პარიზში რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ინტერნაციონალის გენერალურმა საბჭომ გამოაქვეყნა მეორე მიმართვა საფრანგეთ-პრუსიის ომის შესახებ, მიმართვა, რომლის ავტორი იყო კ. მარქსი. უკეთესად რა ანალიზს საფრანგეთის იმპერიის დამარცხების შედეგად შექმნილ მდგომარეობას, გენერალური საბჭო ილაშქრებდა პრუსიელების მიერ საფრანგეთის ხალხთან ომის გაგრძელებისა და პრუსიის იუნკრობის ანექსიონისტური ზრახვების წინააღმდეგ. ამასთან ერთად მიმართვა ნიღაბს ხდიდა საფრანგეთის ახალ „რესპუბლიკანურ“ მთავრობას, რომელსაც იმპერიისაგან მემკვიდრეობათ მიუღია არა მარტო ნანგრევების გროვა, არამედ შიშიც მუშათა კლასის წინაშე“. გენერალურ საბჭოს ეს მიმართვა გამოქვეყნდა 1870 წ. 9 სექტემბერს. ეს გარემოება ადასტურებს რა შორსმჭვრეტელობა, რა სიღრმე გამოიჩინა კ. მარქსმა ტიერ-ფავრ-ტრომბიუს მთავრობის დახასიათებაში და მისი შესაძლებელი ტაქტიკის ანალიზში. ბურჟუაზიის „ნაციონალური თავდაცვის მთავრობა“ სინამდვილეში იყო არა პრუსიელებისაგან თავდაცვის მთავრობა, არამედ პარიზის გმირული მუშათა კლასის ამოჟლეტის ორგანიზაციის მთავრობა. გუსტავ იეკის სიტყვით (იხ. მისი „ინტერნაციონალი“) „სექტემბრის მთავრობის აზრით ნაციონალური თავდაცვის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ სისხლისმღვრელი შეტაკებებით განეკურნა პარიზი მისი გმირული უგნურებისგან და უაზრო, დიდი მსხვერპლის გამომწვევი იერიშებით დაესუსტებია ნაციონა-



„ბისმარკი კმაყოფილი გასცქერის პარიზის ნანგრევებს და, ალბათ, ხედავს მათში „პირველ ნაბიჯს დიდი ქალაქების საყოველთაო დანგრევისაკენ... ის კმაყოფილი სტკბება პარიზის პროლეტარიატის გვამებით.. განა გინახავთ ისტორიაში გამარჯვებული, რომელიც გაბედავდა თავისი გამარჯვება დაეგვირგვინებია დამარცხებული მთავრობის ჟანდარმისა და დაქირავებული მკვლელის როლით?“.

კ. მარქსი („სამოქალაქო ომი საფრანგეთში“).









კომუნართა ტიპები

[illegible] გვრიდა მას*).

პარიზის მუშათა კლასი იმყოფებოდა უმძიმეს პირობებში. ერთის მხრივ მას აწვებოდა პარიზის დაცვის მთელი სიმძიმე, მეორე მხრივ ის წარმოადგენდა ტიერ ფავრის ვერაგული ზრახვების ობიექტს. მდგომარეობის სიმძიმეს კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ პარიზის პროლეტარიატს არ ჰყავდა მტკიცე ორგანიზაცია — თავისი პარტია. ცხადია, ასეთ პირობებში მას არ შეეძლო ერთდროულად ებრძოლა პრუსიელებისა და ტიერის მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ მარქსი ასეთ რჩევას აძლევდა პარიზის მშრომელებს.

**„პირველი ცდა ახალი მთავრობის დამხობისა, როცა მტერი უკვე პარიზის კარიბჭეზე აკაკუნებს, სასოწარკვეთილი უგუნურება იქნებოდა. ფრანგმა მუშებმა ზედმიწევნით თავიანთი სამოქალაქო ვალდებულება, მაგრამ ისინი არ უნდა დაემორჩილონ 1792 წლის ეროვნულ ტრადიციებს, როცა ფრანგმა გლეხებმა თავი მოატყუებინეს პირველი იმპერიის ეროვნული მოგონებებით. მათ წარსული კი არ უნდა გაიმეორონ, არამედ მომავალი უნდა ააშენონ. და, მათ წყნარად და გაბედულად გამოიყენონ საშუალებანი, რომელთაც მათ რესპუბლიკური თავისუფლება აძლევს, რათა საკუთარი კლასის ორგანიზაცია საფუძვლიანად განამტკიცონ. ეს მათ ახალ, ჰერკულესისებურ ძალას მისცემს საფრანგეთის აღორძინებისა და ჩვენი საბოლოო მიზნის — პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის. მათ ძალასა და სიბრძნეზეა ახლა დამოკიდებული რესპუბლიკის ბედი“.**

პრუსიელების მიერ პარიზისათვის ალყის შემორტყმის შედეგად კავშირი ინტერნაციონალურ სექციებს შორის საბჭოსა და მის პარიზის სექციებს შორის ღონეებით შეწყდა. მაგრამ კომუნის გამოცხადების შემდეგ გაწყვეტილი კავშირი კვლავ განახლდა. ინტერნაციონალი არ დაკმაყოფილდა მარტო წერილობითი კავშირით და თავისი წარმომადგენელი გაგზავნა საფრანგეთში მდგომარეობასთან ადგილობრივ გასაცნობად.

18 მარტის ამბებმა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია მარქსში: **„როგორი მოქნილობა, როგორი ისტორიული ინიციატივა, როგორი თავდადების თვისებები გამოიჩინეს ამ პარიზელებმა“**,—სწერდა მარქსი კუგელმანს (1871 წ. 12 აპრილს) — **„6 თვის სიმშილობისა და გაჭირვების შემდეგ... ისინი პრუსიელთა ხიშტების წინ კვლავ გამოვიდნენ, თითქო... მტერი ჯერ კიდევ არ იდგეს პარიზის კარებთან. ისტორიას არ ახსოვს ამგვარი გმირობა“.**

მარქსს, რომელსაც როგორც ზემოთ დავინახეთ, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი საფრანგეთის და კერძოთ პარიზის მასების განწყობილება და კომუნის მნიშვნელობა [illegible] ფრთოვანებული კომუნით და [illegible] საროულე. არავითარი ილუზიები არ ჰქონდა იმ ბედის შესახებ, რომელიც მოელოდა კომუნას, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მიესალმა პირველ პროლეტარულ რევოლუციას, რადგან **ლენინის** სიტყვით მარქსი „ყველაზე მაღლა აყენებდა მასების ისტორიულ ინიციატივას“.

მართალია, ნაციონალური გვარდიის ცენტრალურ კომიტეტში სჭარბობდნენ ბლანკისტები, ხალხი. რომელიც ნაკლებ ხდომას იჩენდნენ მარქსიში, მაგრამ ცენტრალურ კომიტეტს მარქსი მაინც ხედავდა რევოლუციის ქარცეცხლში წარმოშობილ ხელისუფლებას, პარიზის პროლეტარიატის ხიმალლოოს. მარქსი ნათლად ხედავდა, თუ რა საფრთხეს უმზადებდა 18 მარტის რევოლუციას ის თავდაცვის გზა, რომელსაც დაადგა ნაციონალური გვარდიის ცენტრალური კომიტეტი. რამაც საშუალება მისცა გენერალ ვინუას თავის კონტრ-რევოლუციონური არმიით გაეცალიყო პარიზიდან და მოეკრიბა ძალები რევოლუციონური პარიზის შესამუსრავად.

აი რას სწერდა მარქსი ციხიდან ახლად განთავისუფლებულ ვილჰელმ ლიბკნეხტს 1871 წ. 6 აპრილს:

**„... როგორც ჩანს პარიზელები მარცხდებიან. თუ ეს ასეა, ეს არის მათი ბრალი, მაგრამ ბრალი, რომელიც გამოიწვია უაღრესად დიდმა პატიოსნებამ. შემდეგ კი კომუნამ საშუალება მისცა ამ საძაგელ გადაგვარებულ ტიერს დროზე მოეყარა თავი მტრული ძალებისათვის:**

**1) იმიტომ, რომ მათ უგნურების გამო არ სურდათ დაეწყოთ სამოქალაქო ომი, თითქო ტიერმა თვით არ დაიწყო ის პარიზის ძალით განიარაღების ცდით? თითქო ნაციონალურ კრებას უნდა გადაეწყვიტა მხოლოდ პრუსიელებთან ომის ან ზავის საკითხი და არა დაუყოვნებლივ ომი გამოეცხადებია რესპუბლიკისათვის.**

**2) რომ მათთვის ბრალი არ დაედოთ ძალაუფლების ძალით ხელში ჩაგდებაში, მათ დაჰკარგეს ძვირფასი მომენტი —საჭირო იყო დაუყოვნებლივი იერიში ვერსალზე, პარიზში რეაქციის დამარცხების შემდეგ—კომუნის არჩევაზე, რომლის ორგანიზაცია აგრეთვე დროს მოითხოვდა“.**

ერთი გერმანელი ვაჭრის საშვალებით, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ლონდონსა და პარიზს შორის მოგზაურობდა სავაჭრო საქმეებზე, მარქსს ცოცხალი კავშირი ჰქონდა კომუნის ცალკე წევრებთან (ვარლენთან, ფრანკელთან).

1871 წ. 13 მაისს მარქსი სწერდა ფრანკელსა და ვარლენს: **„კომუნა ჩემის აზრით მეტად ბევრ დროს ხარჯავს წვრილმანებზე. როგორც ჩანს, მუშათა გავლენასთან ერთად არსებობს კიდევ სხვა გავლენანი. მაგრამ ყველაფერი ეს არაფერი იქნებოდა, რომ თქვენ მოგეხერხებიათ დაკარგული დროის ანაზღაურება“.** ამ „სხვა გავლენების“ ქვეშ მარქსი გულისხმობს ბაკუნისტურ-პრუდონისტულ გავლენებს, რომლებიც სჭარბობდა არა მარტო ნაც. გვარდიის ცენტრალურ კომიტეტში, არამედ ინტერნაციონალის სექციებშიც კი. ეს მიწერ-მოწერა და კავშირი არ იყო ერთი მხრივი: კომუნის წევრები თავის მხრივ მიმართავდნენ მარქსს რჩევა-დარიგებისათვის (კომუნარ ფრანკელის - კომუნაში საზოგადოებრივ სამუშაოთა დეპარტამენტის დელეგატის წერილი მარქსს და სხვ.).

მარქსი არ კმაყოფილდებოდა მარტო მიწერ-მოწერით და რჩევა-დარიგების მიცემით კომუნის წევრებისათვის. ენგელსთან ერთად ის ენერგიულად მუშაობდა მსოფლიო მუშათა აზრის დასარაზმავად პარიზის კომუნის საქმის გარშემო.

მაგრამ აი კომუნა დაეცა. ტიერი და მისი ბრბო სისხლიან აბაზანას უწყობენ პარიზის გმირულ პროლეტარიატს. მსოფლიო ბურჟუაზია სიამოვნებით ხითხითებს პარიზის მუშათა სისხლის ზღვებივით დამტკბარი და გაავებით ესხმის თავს პარიზის კომუნარებს და ინტერნაციონალს. მარქსის თვის იწყება ტიტანური ბრძოლის დღეები. ის ერთის მხრივ მიზნად ისახავს ნიღაბი ახადოს ბურჟუაზიის ცილისწამების კამპანიას. მეორეს მხრივ ნათელი მოფინოს კომუნის საქმეს და მნიშვნელობას, რისთვისაც არ ერიდება ინტერნაციონალის სახელის დაკავშირებას კომუნის საქმესთან. ამ მუშაობის შედეგია ინტერნაციონალის მესამე მიმართვა, გამოქვეყნებული 1871 წ. 30 მაისს.

**„მუშათა პარიზი მისი კომუნითურთ ყოველთვის პატივცემული იქნება, როგორც ახალი საზოგადოების სახელოვანი წინამორბედი. მისი წამებულნი აღბეჭდილი არიან მუშათა კლასის დიად გულში. ხოლო მისი განმაადგურებელნი ისტორიამ უკვე დღეიდან მიაკრა სამარცხვინო ბოძს საიდანაც მათ ვერ მოხსნის მათი ხუცების ლოცვები“**—ასე თავდებოდა ეს ისტორიული დოკუმენტი, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მშრომელ მასებზე და ბურჟუაზიის საშინელი აღშფოთება გამოიწვია.

**„მან** (მანიფესტმა,—სწერს მარქსი კუგელმანს 1871 წ. 18 ივლისს)—**საშინელი არეულ-დარეულობა გამოიწვია და მე პატივი მაქვს ვიყო ადამიანი, რომელსაც მთელს ლონდონში ახლა ყველაზე უფრო სწამებენ ცილს და რომელსაც ყველაზე უფრო ემუქრებიან. მართალი გითხრა, ეს შესანიშნავი, ოცდახუთი წლის მოსაწყენი ჭაობიან იდილიის შემდეგ. მთავრობის ორგანო „ობსერვერი“ პასუხისგებაში მიცემით მემუქრება. აბა ერთი გაბედონ! ვაფურთხებ მაგ არამზადებს“!**

მიუხედავად ამისა, მუშათა მასების განწყობილების გავლენით მარქსს ვერ გაუბედეს პასუხისგებაში მიცემა. ინგლისის მთავრობა იძულებული შეიქნა აგრეთვე უარი ეთქვა ევროპის მეფეების ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ინტერნაციონალის წინააღმდეგ, რომლის ორგანიზაციას სცდილობდა ესპანეთის მთავრობა.

მაგრამ მარქსის მუშაობა არ ამოიწურებოდა მარტო კომუნის საქმის დაცვით და რეაბილიტაციით კომუნის ჯალათებისათვის ნიღაბის ახდით.. ამავე დროს მარქსი ენერგიულ მონაწილეობას იღებს დახმარების ორგანიზაციაში კომუნის ლტოლვილებისათვის, იმათთვის ვინც ტიერის მეძებრებს გადაურჩა და ჰეზობელ სახელმწიფოებს შეაფარა თავი. თანხების შეგროვება ლტოლვილებისთვის, მათი უზრუნველყოფა ბინებით, პასპორტების და თანხების შოვნა იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ იმალებოდა საფრანგეთში—ეს მუშაობა მთელ სიმძიმით დააწვა მარქსს, რომელიც ამიერიდან მთელს თავის ძალებს, მთელი თავის შესაძლებლობებს უთმობდა ვერსალელების ტერორის მსხვერპლთა დახმარების საქმეს.

ე. წ.

*) იქას მსედველობაში აქვს ტიერის მთავრობის სამხედრო საქმეთა რწმუნებულის ტროშიუს მიერ ტიერისა და ფავრის თანდასწრებით ნათქვამი ფრაზა, რომ ის პარიზის თავდაცვას თავიდანვე ისე უყურებდა, როგორც „გმირულ უგუნურებას“.






კომუნართა ტიპები

# როგორ დააპატიმრეს „მარქსი“ ოდესაში

ძლიერი ბევრი კურიოზული შემთხვევის პოვნა შეიძლება ცნობილი მისი „უდიდებულესობის—ხელმწიფე იმპერატორის“ საკუთარი კანცელარიის მესამე განყოფილების პოლიციის დეპარტამენტის და ოხრანკის საქმიანობაში. ამ დაწესებულებების კედლებში იჯდა ხალხი, რომელიც ხშირად სრულიად ვერ ერკვეოდა რევოლიუციონურ დაჯგუფებებში.

ქვემოთ მე-3 განყოფილების ერთ-ერთ საქმეში დაცული დოკუმენტების საფუძველზე მკითხველი გაეცნობა ერთ ანეკდოტურ ეპიზოდს.

წარსული საუკუნის 70 წლებისათვის I ინტერნაციონალის გავლენა ევროპაში უდიდესი იყო და მისი ბელადის—კარლ მარქსის სახელი—ევროპის მაშინდელ მთავრობათა ხელმძღვანელებისათვის, მათ შორის რუსეთის მთავრობისთვისაც, არც ისე სასიამოვნო გასაგონი იყო.



III განყოფილების მმართველის თანაშემწის ტაინი სოვეტნიკის გრაბოვსკის მიმართვა სანაპირო რაიონების ყველა ჟანდარმთა სამმართველოების უფროსებისადმი წინადადებით—თვალყური ადევნონ მარქსის გამოჩენას მათ რაიონში და დააპატიმრონ იგი.

და აი, 1871 წლის შუაში III განყოფილების ყურამდე მიაღწია ხმამ, რომ კარლ მარქსი სხვისი გვარით აპირობს რუსეთში ჩასვლას. გამოურკვეველია, თუ ვის შეეძლო ამ ცნობის გამოგზავნა. ფიქრობენ, რომ ეს ცნობა ეკუთვნის რუსეთის ოხრანკის ერთ-ერთ ფარულ აგენტს—ბალაშოვიჩ—პოტოცკის, რომელიც მაშინ ლონდონში იმყოფებოდა. ვინაიდან ამ ცნობას პეტერბურგში იმ წამსვე დაუჯერეს, იმ წამსვე რეალურად შეუდგენ მარქსის ძებნას. მესამე განყოფილების მმართველის თანაშემწის ტაინი სოვეტნიკის გრაბოვსკის ხელისმოწერით „სასწრაფოთ და საიდუმლოდ“ სანაპირო რაიონების ყველა ჟანდარმთა სამმართველოების უფროსებს დაეგზავნა შემდეგი ცირკულიარული მიმართვა:

**№ 1888** **საიდუმლოდ.**

**1871 წ. 14 აგვისტო**

**ინტერნაციონალური საზოგადოების გერმანული განყოფილების თავმჯდომარეს და მისი ერთ-ერთ აქტიური წევრს ლიტერატორ კარლ მარქსს განზრახვა აქვს ინგლისური პასპორტით ვალლასის (Vallase) გვარით შემოვიდეს რუსეთში ბოროტის განზრახვით. უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს აღმატებულებას უსასტიკესად ადევნოს თვალყური მარქს-ვალლასის გამოჩენას ჩვენს საზღვრებში და მისი დაპატიმრების შემთხვევაში დეპეშით აცნობოთ მისი უდიდებულესობის —ხელმწიფე-იმპერატორის საკუთარი კანცელარიის III განყოფილებას და დაუცადოთ მის განკარგულებებს“.**

**ხელისმოწერა; განყოფილების მმართველის მაგიერ ტაინი სოვეტნიკი გრაბოვსკი.**

ასეთი მიმართვები ჟანდარმთა კორპუსის ხელმძღვანელ პოლკოვნიკ ჟიტკოვის გარდა მიიღო ბესარაბიის საოლქო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა, პოდოლის. ვოლინის, კოვნოს და ვარშავის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსებმა. ოდესის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს კი ამგვარ ცირკულიარულ წერილის ნაცვლად ჯერ კიდევ 1871 წლის 24 ივნისს გაეგზავნა სასწრაფო დეპეშა ამავე საკითხზე.

სწორედ აქ დატრიალდა ეს ანეკდოტური ამბავი. იმ დროს ოდესაში თარეშობდა პოლკოვნიკი კნოპპი. და ამ კნოპპმა ზემოხსენებული დეპეშების მიღებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ—1872 წ. მაისში—მოახერხა კარლ მარქსის „აღმოჩენა“ ოდესაში და მისი ბინაზე დაპატიმრება ორი დღე-ღამის განმავლობაში. იმას, თუ როგორ მოხდა თვით დაპატიმრება, კნოპპი ასწერს მიმართვაში ჟანდარმთა ცალკე კორპუსის უფროსის სახელზე. აი რას სწერს კნოპპი ამ მიმართვაში:

**„მიმდინარე წლის მაისში გემით კონსტანტინეპოლიდან ჩამოვიდა იული — ალექსანდრ მარია მარქსი, ქალაქ ლეიპციგის მცხოვრები, რომელსაც ინგლისის ქვეშევრდომობა მიუღია 1865 წელს და მისი სიტყვით ცხოვრობს ქალაქ ნოტტინგამში, სადაც მის მამას აქვს სავაჭრო სახლი. მისი პასპორტი გაცემულია ლორდ გრენვილის მიერ და დამოწმებულია ჩვენი კონსულის მიერ მიმდინარე წლის 13 აპრილს.**

**მხედველობაში მქონდა რა თქვენი ბრწყინვალების წარსული წლის 24 ივნისის დეპეშა, რომლითაც წინადადება მეძლეოდა მე ვიღაც მარქსი, რომელიც კონსტანტინეპოლიდან უნდა ჩამოსულიყო, დამეპატიმრებია, მე თქვენი ბრძანების ზუსტად ასრულების მიზნით და რადგან არ მქონდა მარქსის ნიშნები და არც სახელი, გაუგებრობის შესაძლებლობის გამო, მით უფრო რომ გაჩხრეკის დროს მას არაფერი საეჭვო არ აღმოაჩნდა,—არ დავაპატიმრე იგი ფორმალურად, არამედ გრადონაჩალნიკის საშვალებით, რომელსაც ამ საგანზე ჰქონდა ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორის მიწერილობა, წინადადება მივეცი მას ან გემზე დარჩენილიყო მის გვართან დაკავშირებულ გაუგებრობის გამორკვევამდე, ანდა ჩამოსულიყო ნაპირზე და გაჩერებულიყო რომელ სასტუმროშიც მოისურვებდა მაგრამ იმ პირობითა, რომ არ გამოვიდოდა თავის ნომრიდან ნებართვის მიღებამდე. ამასთან ერთად მას მიეცა შესაძლებლობა მიეღო ის პირები, რომლებთანაც მას, მისი განცხადებით, სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა. მისი პასპორტი დარჩა გრადონაჩალნიკთან, მარქსის ნომერს კი მიჩენილი ჰყავს პოლიციელი“....**

და დაპატიმრებული გაანთავისუფლეს მხოლოდ მაშინ, როცა პეტერბურგთან ტელეგრაფით მოლაპარაკების შედეგად გამოირკვა, რომ საერთაშორისო მუშათა კლასის გენიალური ბელადის ნაცვლად დაპატიმრებული იყო ნახევრად წერა-კითხვის უცოდინარი ვაჭარი მარქსი. იძულებული გახდნენ საბრალო გამოეშვათ. აი რას აცნობებდა ამის შესახებ პოლკოვნიკი კნოპპი ჟანდარმთა ცალკე კორპუსის უფროსს:

**„ამა რიცხვში თქვენი ბრწყინვალების დეპეშების მიღებისთანავე მარქსი**



ოდესის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ კნოპპის ცნობა მარქსის დაპატიმრების შესახებ ოდესაში.

**დაუყოვნებლივ განთავისუფლებული იქნა შემდგომი მეთვალყურეობისაგან. მისთვის შექმნილ დაბრკოლებებისათვის მან საჩივრით მიმართა თავის ადგილობრივ კონსულს, მაგრამ მან ამ საჩივარს არ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და სიტყვიერი განმარტების მიღების შემდეგ მოიწონა ადგილობრივი ადმინისტრაციის მოქმედება.**

**მოვახსენებ რა ამას თქვენს ბრწყინვალებას, პატივი მაქვს უმორჩილესად გთხოვოთ, თუ არის ნიშნები ან უფრო სწორი ცნობები იმ მარქსის პიროვნების გამოსარკვევათ, რომელიც რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ დაპატიმრებული უნდა იქნას მაცნობოთ ასეთი მე, შესაძლებელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად“.**

კნოპპი არ კარგავდა იმედს, რომ შესძლებდა მარქსის დაპატიმრებას ოდესაში. მან იმასაც მიაღწია, რომ „მისი ბრწყინვალების„ რეზოლიუციის თანახმად მას „უცხოეთის ცნობებში“ აღმოჩენილ მარქსის სურათის ასლიც კი გაუგზავნეს.

**ა. ქ.**

გ. ქუჩიშვილი

# 8 მარტი

რა კარგია,
რა დიადი
ეს ფრიადი
დილა,
მიწის ჰიმნი
ცამდე ადის,
ლაღად,
ფრთაგაშლილად!

ცაც ისეა
პირმცინარი,
ისე მოწმენდილა,—
რომ მზის ალით
მთა თუ ბარი
ჰქეულა სიცილათ!

ყველა:
დიდი თუ პატარა
გარედ გამოშლილა;
მოხუციც კი მხიარულობს,—
ჰქეულა ყმაწვილად!

შეხეთ:
მშრომელ
ქალთა რაზმი
მოდის თოფით ხელში;
მოდის
მხედრულ დისციპლინით,
გამართული წელში!

მას მოჰყვება
ქედმაღალი
და დიდძალი
მასსა;
კოლექტიურ
შრომის ჰიმნში
აქსოვს გულისთქმასა!

სოფლებში თუ
ქალაქებში
ზეიმია ქალთა;
მიღწევათა გამოფენა,
შემოწმება ძალთა!

ძველ თბილისსაც
ისე მძლავრად
შეუცვლია ფერი,
რომ ყველგან სჩქეფს
სიხალისე,
ჯანსაღი,
ძლიერი!

ყოველ ფეხის
გადადგმაზე
ხვდებიან გიგანტებს
და მშენებლებს
სიხარულის
ალტაცებით ანთებს!

ჰო-და,
ასე დიადია
ეს ფრიადი
დილა,
წითელ-წითელი დროშები
ცეცხლის ტყედ გაშლილა!

მშრომელ ქალთა
ოკეანე
მოდის ზვირთაყრილად
ძველ მსოფლიოს
ემუქრება:
წაგლეკავო,
ფრთხილად!

მოდის,
ქუჩებს ახალისებს
უდარდელ სიცილით,
ქალაქსა სძრავს,
აგუგუნებს
მკვეთრი მოძახილით:

დებო!
თუ ჩვენთვის
გათენდა
გამარჯვების დილა,
თუ საბჭოთა
დიდ კავშირში
ქალიც სრულყოფილა,—
ეს მისთვის რომ
ჩვენც გავიღეთ
სისხლი,
ოფლი: წვლილად!
დებო!

მუსლიმან ქალებმაც
ცეცხლს შეუნთეს ჩადრი
და ჩვენს რიგებს
მხარს უმშვენებს
მათი მწყობრი კადრი!

დებო!
დღესაც
სხვა ქვეყნებში
გმინავს მონა-ქალი;
ფეხქვეშ სთელავს
უუფლებოს
მეფე—კაპიტალი!
თუმცა
აჯანყების დროშა
იქაც აფრენილა,
მუშა ქალთა
სისხლი,
ცრემლი
მრავალჯერ დაღვრილა,—
მაგრამ ყველა იმედები
მარცხმა გაუწბილათ!

და დღეს,
ჩვენში რომ ფრიალებს
წითელი ალამი,—
მონა-დებსაც შეუთვალოთ
მებრძოლი სალამი.

მაშ, წინ!
ლენინიზმის დროშით!
წინ!
ერთად და
მედგრად!—
ყველა ქვეყნის
მშრომელ ქალთა
მტრებზე ასამხედრად!



თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის სართავი ცეხის საუკეთესო დამკვრელი აქტივისტი—ქალი ამხ. ვადაჭკორია.



არტელი „წითელი ტრიკოტაჟელი“-ს (თბილისი) თავმჯდომარე, დაწინაურებული თურქი მუშა-ქალი ამხ. ბაგიროვა.



26-ის სახელობის ქარხნის (თბილისი) დამკვრელი მუშა-ქალი, ამხ. კოსტანიანი, დაწინაურებულია საწარმოო თათბირების მდივნად, არა ერთხელ ყოფილა დაჯილდოვებული დამკვრელური მუშაობისათვის.

# ამიერ-კავკასიის ფედერაციის 11 წელი

სომეხი და თურქი ბურჟუაზია ერთმანეთზე უსისიანებდა სომეხ და თურქ მუშებს და გლეხებს, აწყობდა სომეხ-თათარ მშრომელთა ხოცვა-ჟლეტას, მოძმე ერების მშრომელთა სისხლის ტბები იდგა მაშინდელი აზერბეიჯანის და სომხეთის სოფლებსა და ქალაქებში.

ეს იყო თვითმპყრობელობის დროს.

მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები თებერვლის რევოლიუციის შემდეგაც განაგრძობდენ ეროვნული შუღლისა და მტრობის თესვას, ნაციონალიზმის შხამით სწამლავდნენ ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხებს, კვლავ იღვრებოდა სომეხ და თურქ მშრომელთა სისხლი.



ამხ. ლ. ბერია
საქ კ. პ (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი.

დიდი ოქტომბრის შემდეგ ისინი გამოეთიშენ რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას, გამოაცხადეს ა.-კავკასიის „დამოუკიდებლობა".

მაგრამ დიდხანს ვერ გაიტანეს ერთმანეთი ამიერ-კავკასიელმა ნაციონალისტებმა, გამოაცხადეს „თავიანთი" ქვეყნების „დამოუკიდებლობა"—ე. ი. ამიერ-კავკასიის მშრომელთა ბედ-იღბალი ხელში ჩაუგდეს გამვლელ-გამომვლელ იმპერიალისტებს—ჯერ თურქეთს, გერმანიას, შემდეგ—ინგლის-საფრანგეთს—იტალიას. „ცალკ-ცალკე და ყველა ერთად" ისინი ერთგულების და მორჩილების ფიცს აძლევდნენ იმპერიალისტების ვიგინდარა გენერლებს, რომლებიც ამიერ-კავკასიის „დამოუკიდებელი" რესპუბლიკების არა მარტო ხალხებს, არამედ მათ „მთავრობებსაც" ისე ეპყრობოდნენ, როგორც თავიანთ ხელქვეითებს კოლონიებში. კვლავ ინთხეოდა შოვინიზმის შხამი, ნაციონალისტური აგიტაცია კვლავ სწამლავდა ამიერ-კავკასიის ხალხებს. დაერივნენ ერთმანეთს ამიერ-კავკასიელი დემოკრატები, თოფებით, ტყვიამფრქვევებით, ზარბაზნებით და ჯავშნოსნებით სწყვეტდა თავიანთ სადაო საკითხებს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ბურჟუაზია. კვლავ დადგა ქართველ, თურქ და სომეხ მშრომელთა სისხლის ტბები. ამავე დროს დიდმპყრობელური სენით დაავადებული სომეხი, ქართველი და თურქი ნაციონალისტები სასტიკად სჩაგრავდნენ და სდევნიდნენ ეროვნულ უმცირესობებს. საკმაოა გავიხსენოთ, თუნდაც, სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის სოფლების აწიოკება ვალიკო ჯუღელის „სახელოვანი" ბანდების მიერ, სომხების დევნა მუსავატისტურ აზერბეიჯანში, თათრების ჟლეტა დაშნაკურ სომხეთში, ერთი სიტყვით სომეხ, თურქ და ქართველ ნაციონალისტებს მტკიცედ მიჰქონდათ „დამოუკიდებლობის" „მძიმე ჯვარი" — მლიქვნელობდნენ იმპერიალისტების წინაშე, ფეხქვეშ ეგებოდნენ მათ და ყოველწუთს მზად ჰქონდათ მახვილი ერთმანეთისათვის ზურგში ჩასაცემად.

მხოლოდ ერთ საკითხში ჰქონდათ მათ საერთო ენა—ეს იყო ველური სიძულვილი რუსეთის პროლეტარული რევოლიუციისადმი, სიძულვილი, რომელიც იქამდე მიდიოდა, რომ „სოციალისტი" ნოე ჟორდანია არ მოერიდა ეთქვა „დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო". ეს არ იყო ცარიელი ფრაზა — ჟორდანია - რასულ-ზადე - ხატისოვები პრაქტიკულად ამტკიცებდენ, რომ არა თუ დასავლეთის იმპერიალისტები, არამედ რუსი თეთრგვარდიელებიც კი ურჩევნოდათ და ურჩევნიათ პროლეტარიატის დიქტატურისათვის მებრძოლებს: ამიერ-კავკასია მათ გადააქციეს რუსეთის კონტრ-რევოლიუციის და მოკავშირეთა ინტერვენციონისტული არმიების ზურგათ, ბაზათ საიდანაც ისინი იღებდნენ ცოცხალ ძალებს და საომარ მასალას რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის სისხლში ჩასადრჩობად.



ამხ. მუსაბეკოვი
ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.

„დამოუკიდებელი" რესპუბლიკების შიგნით კი გმინავდა უსაშინლეს მდგომარეობაში ჩავარდნილი მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა. ფაბრიკა-ქარხნები ისევ დარჩა კაპიტალისტების ხელში და მოკლებული ნედლეულსა და ბაზარს ზედი-ზედ იხურებოდა. ამიერ-კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეებს ძარცვავდნენ ყველა გამვლელ-გამომვლელები. ამიერ-კავკასიის სოფლებში კვლავინდებურად ბატონობდნენ მემამულეები, რომლებიც უცხოელებსაც კი მიმართავდნენ დახმარებისათვის, როცა ადგილობრივი „მთავრობები" საკმაო სიმტკიცით ვერ იცავდნენ მათ ინტერესებს (გავიხსენოთ, თუნდაც, ქართველ მემამულეების მიმართვა დახმარებისათვის გერმანიის ჯარების სარდლობისადმი).



ამხ ფ. მახარაძე
საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე.

„დამოუკიდებლობა" მძიმე ტვირთად აწვებოდა ამიერ-კავკასიის მშრომელთ. სამინისტროები, დეპარტამენტები, ელჩები და დესპანები,—იყო თუ არ იყო საჭირო, საოკუპაციო ჯარების და იმპერიალისტურ გენერლების შენახვა. ომები—ყოველივე ამისათვის საჭირო ხარჯები ამოდიოდა მშრომელთა ჯიბიდან.

მენშევიკურ-დაშნაკურ - მუსავატისტურ უღელის მოცილების ყოველგვარი ცდა ქართველ-სომეხ-თურქ მშრომელთა მხრივ იწვევდა უსასტიკეს რეპრესიებს და ათასობით იწირავდა რევოლიუციონერთა სიცოცხლეს.

მაგრამ ოქტომბერმა მაინც გაიმარჯვა ამიერ-კავკასიაში. მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატისტებს ვერ უშველა ვერც მათმა მფარველმა—ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა.

უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო ამიერ-კავკასიის საბჭოთა ხელისუფლებამ; შოვინიზმით მოწამლული ატმოსფერა, დანგრეული მრეწველობა და ტრანსპორტი, გაპარტახებული სასოფლო მეურნეობა.

მხოლოდ ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმური თანამშრომლობით, მხოლოდ შეერ-



### ამხ. ანანიანი
სომხეთისა და ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე

თეხული ძალლონით შეიძლებოდა ამ უსაზღვროების მტკვიდერეობის ლიკვიდაცია, ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის ფეხზე წამოყენება და პირობების შექმნა სოციალიზმის მშენებლობის დასაწყებათ.

თებერვლის შემდეგ, რაც დაემხო ა.-კავკასიის კონტრ-რევოლუციის და საერთაშორისო იმპერიალიზმის უკანასკნელი თავშესაფარი ამიერ-კავკასიაში — მენშევიკების ბატონობა საქართველოში, ვ. ი. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა ერთი მთლიანი სამეურნეო ორგანოს შექმნას ამიერ-კავკასიაში, დარწმუნებული იმაში, რომ მხოლოდ ამიერ-კავკასიის მშრომელთა:

**„ამიერკავკასიის კავშირი შექმნის ნიადაგს ნაციონალური მშვიდობიანობისა, არნახულს ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელს ბურჟუაზიული წყობილების პირობებში. მაგრამ, რა მნიშვნელოვანიც არ არის ნაციონალური მშვიდობიანობა ამიერკავკასიის ხალხთა [illegible] და [illegible] შორის, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია შენარჩუნება და განვითარება საბჭოთა ხელისუფლებისა როგორც ბაზისა სოციალიზმისაკენ, ამოცანა ძნელია, მაგრამ [illegible] ლებლად სავსებით შესაძლებელი“...**

[illegible] დროულად და გადაჭრით წამოაყენა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი ამხ. **სტალინმაც.**

ბაქოს გმირული პროლეტარიატი, რომელმაც ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, ამხ. **სერგო ორჯონიკიძის** თაოსნობით, იმყოფებოდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანიზატორთა **პირველ რიგებში.**

[illegible] ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანიზაციით დაგვირგვინდა ბრძოლა ოქტომბრისათვის ამიერ-კავკასიის პირობებში, მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნით ჩაეყარა მტკიცე საძირკველი ამიერ-კავკასიის მშრომელთა ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმეს, შეიქმნა პირობები ნამდვილი ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის, ბოლშევიზმისათვის საბრძოლველად, ბურჟუაზიის დროს არ ნახული და ბურჟუაზიული წყობილების პირობებში შეუძლებელი ნაციონალური მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად.

შეუდგარი და ულმობელი ბრძოლით ადგილობრივი ნაციონალიზმთან და დიდმპყრობელურ შოვინიზმთან, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ, საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და ამხ. **სტალინის** მითითებების ბოლშევიკური რეალიზაციის გზით ამიერ-კავკასიის მშრომელმა მასებმა — ა.-კ. კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მიაღწიეს უდიდეს ისტორიულ გამარჯვებებს: ნავთის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულებას 2 ნახევარ წელიწადში, ნავთის ახალი საბადოების ექსპლოატაციის ორგანიზაცია, შავი და ფერადი მეტალურგიის მოწყობა, მსხვილი ნაზშირის მრეწველობის ორგანიზაცია, ელექტროფიკაცია, მსუბუქი მრეწველობის შექმნა და მძლავრი განვითარება, მებამბეობისა და ტექნიკური კულტურების გიგანტური ზრდა, სამრეწველო მუშათა კოლოსალური ზრდა ომის წინადროსთან და განსაკუთრებით მენშევიკ-მუსავატისტების ბატონობის პერიოდთან შედარებით, ამიერ-კავკასიის ხალხთა მძლავრი კულტურული ზრდა — ასეთია ამიერ-კავკასიის ფედერაციის 11 წლის არსებობის ზოგადი შედეგები. ამიერ-კავკასიის მშრომელებმა ამ უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის ფედერაციის დროშით — ძმური თანამშრომლობის შედეგად.

გადადიან რა ა.-კ. ფედერაციის არსებობის მეთორმეტე წელში, ამიერ-კავკასიის მშრომელები კიდევ უფრო მეტს წარმატებებს მიაღწევენ მეორე ხუთწლედის დიადი გეგმებისათვის ბრძოლაში, ბრძოლაში იმ ამოცანების გადაჭრისათვის, რომლებიც ჩვენს წინაშე დასვეს საქ. კ.პ. (ბ) ცეკას [illegible] პლენუმმა და მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესმა ბელადმა ამხ. **სტალინმა**, ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით კიდევ მეტს წარმატებებს მიაღწევენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში მასში შემავალი რესპუბლიკების თვითმოქმედების საფუძველზე.



### ამხ. ეფენდიევი
აზერბეიჯანისა და ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე

**გაუმარჯოს ლენინურ კომუნისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელს — მსოფლიო მუშათა კლასის ბელადს, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებათა ორგანიზატორს ამხ. სტალინს!**

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოს—დიდ საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს ა.-კ. ფედერაციას და ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ კავშირს და თანამშრომლობას სოციალიზმისათვის ბრძოლაში!



ბათომის ნავთის გადამმუ შავებელი ქარხანა



თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წ. თავისა და წითელი არმიის მე-15 წლის თავის აღსანიშნავად. — საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში: ა.-კ. და საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. მგალობლიშვილი, თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. მაჩაიძე და სხვ.

კარლო კალაძე

# უჩარდიონი

პოემის მესამე ნაწილი

4

გულდას გზავნიან ქალაქში ადრე,—
რა დარჩენია გრძელი გზის გარდა!
აი, შემოჰკრა ქუსლი მეტადრე
და ბედაურმა გაინავარდა.

კაცის ძახილი ისმის აქა-იქ,
დილაა სოფლად ჩვეულებრივი..,
დღე რომ იაროს, ღამით ქალაქიც
ხევში ჩაცვენილ ვარსკვლავებივით

ძევს.., და მანძილზე, ცხენი ონავარ
ტორებს ცემით გაირბენს მალე...
მაგრამ „შენ საით“ გაიგონა მან
და ალაგებთან შენიშნა ლალე.

შედგა:
— სიმართლე თქვენებს აქამდი
ვერ ჩავაგონე, რა დაგიმალო,
ეხლა აიკრან გუდანაბადი
მე, ჩემო კარგო, სამტროდ მივალო!

თავდაღუნული ის იდგა ჩუმად,
თვალები გულდას-გამოეცალენ, —
ხიდან ფოთლები სააბრეშუმოდ
დაეკრიფა და ესმოდა:
— ლალე

ცის ქვეშ დარჩენილს, შენ არა ერთხელ
ფიქრი გამანდე თორმეტი წლისამ.
გეფერებოდი მე ღამის მეხრე,
მზის ამოსვლამდე ვებრძოდით ძილსა!..

როგორ ჩამქრალხარ, ქალო, რა კარგი!
მაგრამ.. გაისმა ზარივით:—ლალე!

*) დასასრული. იხ. „დროშა“ № 4.

იქ უჩარდიონს გაეღო კარი,
აბრიალებდა სისხლიან თვალებს!—

გამორდიან, გულდა გზა და გზა მიჰქრის
და ყურანივით მიჰყვება ფიქრი:

„ძველ მემამულეს, ცხოვრება უქმი
მოენატრა და გაიჰრა ველად!
ერთმა ვესროლეთ. ჩაენგრა ზურგი
და გულის ხორცი ამოახველა!

ობოლი სოფლად ჩამოგიყვანა
უჩარდიონმა, როგორც ნადავლი!—
ლალე, რა კარგი გნახე იმ ხანად;
მარმარილოდან გამონათალი...

მოგეფერებივარ ტლუ, ღამის მეხრე,
შენ ბაგეებზე დავხრილვარ ჩრდილად!
ძლივს შეგისრულდენ წლები რომ, ერთხელ
გამზრდელმა ცოლად დაგიმორჩილა“.

გულდამ გადაჰრა გზები აქა იქ,
დღე გაატარა ჩვეულებრივი..
და ხეობაში ღამით ქალაქიც
ენთო ჩაცვენილ ვარსკვლავებივით.

5

სოფლად კი ძგერდა მუშაობა და
ერთი მეორეს ეუბნებოდა:

— ერთხელ მოვიდა ძველად მეურნე
შთა მიითვისა. შეუდგა შრომას;
და უნებურად დახატა თურმე
ფერად-ფერადი ფერდობი ბლომად.

იქვე გორაზე ახლა ხახვი,
ზოგან ეზო შესანიშნავად.

ზოგან ხე დარგო,
ზოგან ვენახი,
ზოგან ხნულები გადააშავა..,

მართობელაა გლეხი კაცი და
თუ თაარსებოდ იბრძოდა სადმე,—
თავისებურად მიდამოს ცვლიდა
გლეხური აზრი მამულისადმი *.

ეხლა სოფელში
ხხვა ხურათიდან
კოლმეურნეებს დაიმახავდი;

ამოჩნდენ ხერხე ჩალის ქუდებით,—
ბევრი რომ არ ვთქვა,—სამოციოდე.
და მხრებით დაბლა დაღუნულები
მანძილზე ნელა ამოდიოდენ.

გამხნევებული სიმინდს მარგლიან,
დაიგუგუნეს ერთად შეიოო!—
ვრცელი მიდამო მოუფარგლიათ
უნდა უარონ და მოერიონ..

ერთმა თქვა, მაინც,
—მკერდშიშველამა:
— ზვავლ ქალაქიდან გულდა ჩამოვა,
მთავრობის აზრი მოგვეშველება
თუ არა მცირე ხამუშაოა!

ვგონებ: ხანგარი და ლომბეური
ყველგან ამრიგად უნდა აშყარონ,—
მისი ადგილი უქმად ძევს თურემ
ხამაგალითო ხიმინდი ხაროზს..

თქვა, მოიმშრალა მკლავით სახე და
აშრიალებულ ყანებს გახედა.

* იხ. დ. კაკაბაძის პეიზაჟი. ეროვნული გალერეა.



დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობა. — ყრილობის დახურვის მომენტი — „ინტერნაციონალი“.

# საკოლმეურნეო მინდვრების დამკვრელთა საკავშირო ყრილობა

15 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა დამკვრელ კოლმეურნეთა 1-ლი საკავშირო ყრილობა.

1.500 დელეგატი დაესწრო საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან ამ ისტორიულ ყრილობას, რომელმაც ჯამი გაუკეთა საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიღწევებს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ფრონტზე.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში მსოფლიოს მშრომელთა გლეხობამ მიიღო თვალსაჩინო მაგალითი იმისი, თუ როგორ შეიძლება განთავისუფლება მონური დამოკიდებულებისაგან მემამულის მხრივ, საუკუნოებრივი ჩაგვრისა და სიღატაკისაგან მხარის დაჭერით კომუნიზმისათვის მებრძოლ მუშათა კლასისა და მისი პარტიის — კომუნისტური პარტიისათვის და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნით — საკოლმეურნეო გზაზე დადგომით.

საბჭოთა ქვეყანა ერთად-ერთი ქვეყანა არის მსოფლიოში, სადაც მშრომელი გლეხი წელს არ ღუნავს კულაკისა და მემამულის წინაშე, არ იღრჩობა სოფლის ჩარჩ-ჩუნბელას ქსელში, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებამ გაანთავისუფლა იგი მემამულის, კულაკის და ჩარჩის კლანჭებიდან, გაანთავისუფლა იგი ათასგვარ ვალდებულებისაგან, რომლებიც წარმოადგენდნენ მშრომელი გლეხის საუკუნოებრივი დუხჭირი ცხოვრების მიზეზს.

უდიდესი წარმატებები არის მიღწეული საკოლმეურნეო მშენებლობაში: ჩვენ გვაქვს [illegible]ლა 200.000-მდე კოლმეურნეობა, რომლებშიც 1933 წლის 1-ლი იანვრისათვის გაერთიანებული იყო მშრომელი გლეხობის 62.4 პროც. ამ ორასი ათასი კოლმეურნეობიდან მრავალი ათასი არის მოწინავე, მუშაობს საუკეთესო ნიმუშის მაჩვენებელი. უსასტიკეს ბრძოლაში საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა მტრებთან — კულაკებთან და მათ აგენტურასთან — მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებთან მტკიცდებოდა და ვითარდებოდა ჩვენი სამეურნეო მშენებლობა ლენინურ პარტიის ბოლშევიკურ ცეკას და მსოფლიო მუშათა კლასის უდიდესი მასწავლებლის — პირველ დამკვრელ კოლმეურნის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით.

და ამ საკოლმეურნეო გზაზე დადგომის შედეგად ათეულმა მილიონმა მშრომელმა გლეხმა პირველად მიიღო ადამიანური ცხოვრების — წელში გასწორების შესაძლებლობა, მისთვის წინათ მიუწვდომელ მანქანა-იარაღების გამოყენებით თავი დააღწია მუშა-პირუტყვის მდგომარეობას. „ახალ საკოლმეურნეო წყობილების დროს გლეხები მუშაობენ ერთად, არტელურად, მუშაობენ ახალი იარაღების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების საშუალებით. მუშაობენ თავისთვის და თავიანთი კოლმეურნეობებისათვის, ცხოვრობენ უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ, უკულაკეროდ და უსპეკულიანტებოდ. მუშაობენ იმისათვის, რომ დღითი-დღე გააუმჯობესონ თავიანთი მატერიალური და კულტურული მდგომარეობა“ **(სტალინი)**.

საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვებათა შედეგად იქმნება პირობები „ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირების სრულიად და საბოლოოდ მოსასპობად. ელექტრონის სინათლე, თეატრები, კინო, წიგნები, ბიბლიოთეკები, პარკები, ასვალტიანი გზები, ავტომობილი, მანქანა, მატარებელი — ყველაფერი ეს ექნება სოფელს“ **(კაგანოვიჩი)**.

საკოლმეურნეო მშენებლობის და საკოლმეურნეო შრომის ეს ბრწყინვალე გამარჯვებები ამავე დროს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის და მისი პარტიის — ლენინური კომუნისტური პარტიის ბრწყინვალე გამარჯვებას, მისი პოლიტიკის სისწორის ბრწყინვალე დადასტურებას, ვინაიდან საკოლმეურნეო მშენებლობის დღევანდელი უდიდესი გამარჯვებების უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩაატარა დიდი და ძნელი „მოსამზადებელი მუშაობა“: მან დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება, გაადევნა მემამულეები და კაპიტალისტები, ჩამოართვა მათ ქარხნები და მიწები, რომლებიც გამოცხადებული იქნა ხალხის საკუთრებათ, ალაგმა კულაკობა და ჩამოართვა მათ მანქანები და ტრაქტორები, რომლებითაც სარგებლობის უფლება მიეცა მხოლოდ კოლმეურნეობებში გაერთიანებულ ღარიბ და საშუალო გლეხობას, განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რითაც უზრუნველჰყო სოფლის მეურნეობის ტრაქტორებით და რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებით უზრუნველყოფის საქმე.

მრავალმილიონიანმა კოლმეურნეთა მასამ თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით სათანადოთ შეაფასა საბჭოთა კავშირის გმირული პროლეტარიატის და მისი პარტიის — კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ეს უდიდესი დამსახურება. ამიტომ იყო გულწრფელი მადლობით და ხვალინდელი დღის რწმენით გამსჭვალული თითეული კოლმეურნის გამოსვლა ამ ისტორიულ ყრილობაზე, ამიტომ იყო, რომ 1.500 დელეგატი მხურვალე ოვაციებით ხვდებოდა მთავრობისა და პარტიის წარმომადგენლებს, ამიტომ იყო, რომ ასეთი გულწრფელი აღტაცება და ხანგრძლივი ოვაციები გამოიწვია სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებათა უდიდესი ორგანიზატორის — ამხ. **სტალინის გამოჩენამ ყრილობის ტრიბუნაზე.**

პარტიის პოლიტიკამ მხურვალე და ერთსულოვანი მხარის დაჭერა მიიღო კოლმეურნეთა მრავალმილიონიანი მასების მხრივ და ეს ერთსულოვანი მხარის დაჭერა წარმოადგენს მძლავრ გარანტიას იმისას, რომ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, სოფლისა და ქალაქს შორის დაპირისპირების საბოლოოდ და სრულიად მოსპობის საქმეში მიღწეული იქნება ახალი ბრწყინვალე გამარჯვებები.

მ. რ—ძე.

# 1917 | თვითმპყრობელობის დამხობა | 1933

## სახელმწიფო სათათბიროში

(მოგონებები)

რევოლუციამდე სამი დღით ადრე ჩხეიძემ ეს-ეს იყო დაამთავრა სახელმწიფო სათათბიროში თავისი უკანასკნელი სიტყვა, რომელშიც მთავრობას მუშათა კლასის რისხვით ემუქრებოდა. ახლა „კულუარებში", ცარიელ, სითეთრით აკრიალებულ ეკატერინეს დარბაზში ყაყანობს ხრინწიანი, ყრუ ხმით, აბურძგლული და გაბოროტებული:

— ლაპარაკობ, თვითონ არ იცი ვისთვის. არავინ არ გისმენს, არ გეხმარება. მუშები? მე არ ვიცი რას ფიქრობენ ისინი—მუშები!



ИЗВѢСТІЯ ПЕТРОГРАДСКАГО СОВѢТА

Рабочихъ депутатовъ.

№ 1

Къ населенію Петрограда и Россіи.

Отъ Совѣта Рабочихъ Депутатовъ.

Совѣтъ Рабочихъ Депутатовъ.

**პეტროგრადის საბჭოს „უწყებები" № 1**

ხმაში ისმის იმედის გაცრუება და წყენა. უკანასკნელ დროს მენშევიკ-ობორონცები, ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის წევრები აშკარად კარგავდნენ კრედიტს ქარხნებში. სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკურ ფრაქციას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მასებთან.

—:—

გაფიცვა. გაზეთები არ გამოდის, და ჩვენ, ჟურნალისტები, ერთბაშად ნაპირზე გადმოგდებულ თევზებს დავემსგავსეთ; გვწყდება: ნუთუ ასეთ მომენტში არავის არ სჭირდება ჩვენი სიტყვა? შეიძლება ითქვას, გამოვხატავდით საზოგადოებრივ აზრს და უცებ გავხდით ასეთივე ჩვეულებრივი ობივატელები, როგორიც ყოველი [illegible]. მკითხველთან — არავითარი კავშირი. და, მგონი,—ეს არის ყველაზე უფრო საწყენი,—ჩვენ ძალიან არ ვესაჭიროებით მას.

ცდილობენ დაარწმუნონ ასოთამწყობები, რომ დემოკრატიული და ლიბერალური სიტყვა ახლა აუცილებელია. — გაიგეთ ბატონებო! ბეჭდვითი სიტყვა ხომ—ძლიერი ბერკეტია...

ასოთამწყობები გარეგნულად თავაზიანად ეთანხმებიან. მაგრამ არ იმუშავებენ. პროლეტარული გაფიცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ლიბერალური ბერკეტი. საკმაოდ იბერკეტა—კმარა!

—:—

ნევსკი შავია ხალხისაგან. დაჰქრიან კაზაკები. რა უნდა ამ ხალხს, რომ უაზროდ დადიან ამ ფილაქნებზე, ვერ დაჯდებიან სახლში! მთავრობას ხომ ეს უნდა, იგი შეგნებულად აწყობს დახვრეტას.

უჯეროესია თვითონაც წავიდე. მაგრამ არაჩვეულებრივი სიძლიერით გიზიდავს ქუჩა, როცა გარშემო ყვირიან, სტვენენ, გინდა შენც გასძახო ლაზათიანად. გიპყრობს საყოველთაო გატაცება... ნუ თუ კაზაკები მხოლოდ თავს იკატუნებენ ასეთი მშვიდობიანი განწყობილებით? არა. ისინი მართლა იღიმებიან მხიარულად და კეთილგანწყობილად. მაგრამ ამ შემთხვევაში... ეშმაკმა იცის, ამ შემთხვევაში! ურრრაა!

—:—

სროლა. ერთი, მეორე—გაისმის ტყვიების ზუზუნი. და უაზროდ, მოუსაზრებლად, უცნაური ნახტომებით — რომელიღაც სახლის კარებში, პირდაპირ შექუჩებულ პალტოების და შუშების გროვაში, შუაგულში, რაც შეიძლება ღრმად.

ქუჩა უცებ, თვალის დახამხამებაში — **წარმოუდგენლად** ფართო და ცარიელია. არას დროს არ მინახავს ასეთი ცარიელი ქუჩა.

—:—

ყველანი სახლში არიან, პირველკურსელ ოშას გამოკლებით. ყველანი შეშინებული გამოიყურებიან. მაგრამ, აი, გამოჩნდა ისიც, ქუდი კისერზე, ცალი კალოშით. გახარებული და აღელვებული. იყო ზნამენკაზე, უსმენდა ორატორებს, კაზაკებმა მოჰკლეს ბოქაული. ჯარისკაცები ისროდნენ.

—:—

დილა ადრიან—მზარეული ფეკლა აღელვებულია. ჰოსპიტალის შესახვევში, ჩვენს გვერდით, ჯარისკაცებმა მოჰკლეს ოფიცრები. ისვრიან. აჯანყება. ხალხი!—გავლა არ შეიძლება.

მართლა რომ გავლა არ შეიძლება. და არც არაფრის გაგება. ყაზარმის ეზოში ორი მოკლულია. მთავარი შტაბის აკადემიის ვეებერთელა ეზოში უწესრიგოდ მოძრაობენ მასები. ისმის სროლა. ჰყვირიან „ურას". პრეობრაჟენსკის პოლკის ჯარისკაცები თითქო ებრძვიან ვოლინელებს.

საქმე სერიოზულად არის. ჟურნალისტი უნდა იყოს პოსტზე. ჩემი პოსტია სახელმწიფო სათათბირო. თავრიდის ქუჩა ცარიელია. ჰიმქართან იჯგუფებიან ჯგუფები. აფრთხილებენ: ნუ მიდიხართ, ისვრიანო. კირკის ქუჩაზე ჯარისკაცების ნაცრისფერი მოწითალო მასა. პრიალებენ ხიშტები. ვის მხარეზე არიან ისინი?

სახელმწიფო სათათბიროს გარშემო სიცარიელეა. გუშაგები—თავის ადგილზე არიან. ორმოცვედროიანი შვეიცარი უძრავად დგას თავის პოსტზე. მაგრამ თვალებში გამოსჭვივის შეშფოთებული ცნობისმოყვარეობა და, თავისი თანამდებობის სიდიადის დარღვევით კითხულობს:

— ხომ არ დაგინახავთ, აქეთ მოდიან?

—:—

სათათბიროში ჯერ კიდევ სიცარიელეა. პატარ-პატარა შეშფოთებული ჯგუფები გროვდებიან რგვალ და ეკატერინეს დარბაზებში. მემარჯვენე ხუცები გრძელი წვერებით და მემარჯვენე „მუჟიკები" მაღალ ჩექმებში თავს მიტოვებულ ჯოგივით გრძნობენ.

ისინი მოვიდნენ და გაიგეს რომ სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილია. წინადღით საღამოთი, რაღაც მალულად.

ასეთ მომენტში?!! მემარჯვენე დეპუტატები საშინლად ნაწყენი არიან. მაშასადამე, ისინი არ არიან საჭირო...

—:—

როძიანკო ჩაიკეტა თავის კაბინეტში. არ გამოდის.

ტელეფონით—ცნობები, თვითეული, როგორც ყუმბარა —ამაღელვებელი, საშინარული, ფანტასტიური. აღებულია არსენალი, იწვის წინასწარი პატიმრობის სახლი, იწვის პოლიციის უბნები.

დარბაზში გამორბის მილიუკოვი.—როგორც ყოველთვის აწითლებული და მომღიმარე, ხელებს იქნევს: არ სცალია!

და შერბის როძიანკოს კაბინეტში.

—:—

მემარჯვენე ხუცები ღელავენ.—არ დაიშალოთ! ახლავე უნდა გაიხსნას კრება. სად არის როძიანკო? რატომ არ გამოდის?

ოჰო-ჰო, როგორ „გამემარცხენდნენ" ხუცები!

ისინი შიშობენ, რომ ხალხი არ მოვიდეს სათათბიროში. საჭიროა რაღაცას გაკეთება,



ჯარისკაცთა და მეზღვაურთა მიტინგი თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში.

...ე ღონისძიებების მიღება. რაც შეიძლება ჩქარა!

—:—

ჩხეიძე—წარბებშეჭმუხნული, უკმაყოფილო, გაბუტრიგლული — არაფერი არ ვიცი. მაგრამ საჭირო იყო კავშირის გაბმა მუშებთან შეხვედრა ორგანიზაციასთან... გაქვთ კავშირი?

ხელებს იქნევს და იმალება.

—:—

დეპუტატები გროვდებიან, ისინი ზუზუნებენ ყველა კუთხეებში, რაღაც დარცხვენილნი... დაბნეულნი... რაღაც უნდა გააკეთონ. მაგრამ რა?

სად არის როძიანკო, მილიუკოვი?

თათბირობენ, რეკავენ ტელეფონით.

—:—

[illegible] მემამულეთა საჯდომებისათვის გათვალისწინებულ უზარმაზარ ტყავის სავარძელში ჩაძირულნი მელანქოლიურად ზიან კადეტი-დეპუტატები. და ნერვიულ ისტერიკით შეპყრობილი ჩასჩიჩინებს მათ ცნობილი კადეტი ჟურნალისტი-ქალი არიადნა ტირკოვა.

თქვენ ხომ სახალხო წარმომადგენლები ხართ! თქვენ არა გაქვთ უფლება აქ იჯდეთ. თქვენ უნდა მიხვიდეთ ხალხთან. იგი თქვენ დაგიჯერებსთ.

ერთ-ერთი კადეტი ირონიულად შენიშნავს:

— ეს წაისვლე დეპუტატებს!

მღელვარე ხუცები ლამის გიჟდებიან. ერთი მათგანი მოურიდებლად ყვირის:

— თუ მამაძაღლი მინისტრები გაიპარნენ, ჩვენ უნდა შევადგინოთ სამინისტრო! სად არის როძიანკო!

როძიანკო და მილიუკოვი თათბირობენ. ურეკავენ დიდ მთავრებს... დარეკვის დრო გათავდა...

—:—

შეშინებული, კერენსკი. აღელვებული, ფერწასული. მოკლე ფრაზები, თითქო ისვრის.

— უნდა შესდგეს სხდომა. სახელმწიფო სათა[illegible] იყოს პოსტზე. დარეკეთ.

არავინ რეკავს.

თვითონ დარეკავს.

ერთი წუთის შემდეგ ზარის წკრიალი გაისმის ყველა დერეფნებში.

დეპუტატები იკრიბებიან, მაგრამ ადგილიდან არ იძვრიან. სათათბირო ხომ მეფემ დაითხოვა. სხდომის გახსნა ხომ მეფის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს?

— ბატონებო! დარბაზში!—ყვირის კერენსკი და მიფრინავს ჩაჩუმებული ჯგუფებისა ახლოს.

არავინ მიდის.

—:—

კაბინეტის კარი იღება და იქედან მოსცურავს როძიანკოს ზორბა ტანი. მის უკან მოხტუნავს მილიუკოვი.



Известія Петроградскаго Совѣта Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ.

№ 5. 4 Марта 1917 г.

Въ частной продажѣ Цѣна № 5 коп.

СОДЕРЖАНІЕ: Отреченіе Николая и Михаила Романовыхъ.—Отреченіе Романовыхъ Голштинскихъ,—Отношенія между офицерами и солдатами.—Тяжелое наслѣдство.

Отреченіе отъ престола.

Николай II «назначилъ» кн. Львова министромъ-президентомъ.

Телеграмма отъ Начальника Штаба армій сѣвернаго фронта генерала Данилова.

Генералъ Алексѣевъ передаетъ.

Его Величество подписалъ указъ Правительствующему сенату о бытіи предсѣдателемъ совѣта министровъ князю Львову.

Настоящую телеграмму прошу срочно передать во всѣ арміи и начальникамъ военныхъ округовъ. По полученіи по телеграфу Манифеста, таковой долженъ быть переданъ во всѣ арміи и, кромѣ того, напечатанъ и разосланъ въ части войскъ.

Генералъ-адъютантъ Алексѣевъ.
2 марта 1917 г.

ОТРЕЧЕНІЕ НИКОЛАЯ РОМАНОВА.

Телеграмму передалъ за начальника морского генеральнаго штаба капитанъ перваго ранга гр. Капнистъ.

Переданный командующимъ флотомъ Балтійскаго моря вице-адмираломъ Непенинымъ по юзограмму текстъ манифеста:

«Въ дни великой борьбы съ внѣшнимъ врагомъ, стремящимся почти три года поработить нашу родину, Господу Богу угодно было ниспослать новое тяжкое испытаніе Россіи.

Начавшіяся внутреннія народныя волненія грозятъ бѣдственно отразиться на дальнѣйшемъ веденіи упорной войны.

Судьба Россіи, честь геройской нашей арміи, благо народа, все будущее дорогого нашего отечества требуютъ доведенія войны во что бы то ни стало до побѣднаго конца.

Жестокій врагъ напрягаетъ послѣднія силы и уже близокъ часъ, когда доблестная армія наша совмѣстно съ славными союзниками нашими сможетъ окончательно сломить врага. Въ эти рѣшительные дни въ жизни Россіи сочли мы долгомъ совѣсти облегчить народу нашему тѣсное единеніе и сплоченіе всѣхъ силъ народныхъ для скорѣйшаго достиженія побѣды и, въ согласіи съ Гос. Думою, признали мы за благо отречься отъ престола государства Россійскаго и сложить съ себя верховную власть.

Не желая разстаться съ любимымъ сыномъ нашимъ мы передаемъ наслѣдіе наше брату нашему Великому Князю Михаилу Александровичу и благословляемъ его на вступленіе на престолъ государства Россійскаго.

Заповѣдуемъ брату нашему править дѣлами государственными въ полномъ и ненарушимомъ единеніи съ представителями народа въ законодательныхъ учрежденіяхъ на тѣхъ началахъ, кои будутъ ими установлены, принеся въ томъ ненарушимую присягу во имя горячо любимой родины.

Призываемъ всѣхъ вѣрныхъ сыновъ отечества къ исполненію своего святого долга передъ нимъ повиновеніемъ царю въ тяжелую минуту всенародныхъ испытаній и помочь ему, вмѣстѣ съ представителями народа вывести государство Россійское на путь побѣды, благоденствія и славы. Да поможетъ Господь Богъ Россіи.

НИКОЛАЙ.

Отреченіе Великаго Князя Михаила Александровича

Тяжкое бремя возложено на меня волею брата моего, передавшаго мнѣ императорскій всероссійскій престолъ въ годину безпримѣрной войны и волненій народа.

Одушевленный единой со всѣмъ народомъ мыслью, что выше всего благо родины нашей, принялъ я твердое рѣшеніе въ томъ лишь случаѣ воспринять верховную власть, если такова будетъ воля великаго народа нашего, которому и надлежитъ всенароднымъ голосованіемъ черезъ представителей своихъ въ учредительномъ собраніи установить образъ правленія и новые основные законы государства Россійскаго.

Посему, призывая благословеніе Божіе, прошу всѣхъ гражданъ державы Россійской подчиниться временному правительству, по почину Государственной Думы возникшему и облеченному всей полнотой власти впредь до того, какъ созванное въ возможно кратчайшій срокъ на основѣ всеобщаго, прямого, равнаго, тайнаго голосованія учредительное собраніе своимъ рѣшеніемъ объ образѣ правленія выразитъ волю народа.

Подписалъ МИХАИЛЪ.

Конецъ Романовыхъ—Голштинскихъ.

Революція сдѣлала новое громадное завоеваніе. 2 марта Николай II отрекся отъ престола.

Россійскій престолъ Николай II передалъ своему брату Михаилу.

Михаилъ не принялъ предложенія и отказался отъ предоставленныхъ ему правъ.

Съ отказомъ Михаила династія Романовыхъ-Голштинскихъ въ Россіи прекратилась.

Что дала Россіи династія Романовыхъ? Свою исторію Романовы начали съ закрѣпощенія русскаго крестьянства.

Двѣсти пятьдесятъ лѣтъ крестьянство стонало подъ игомъ рабства.

Пятьдесятъ шесть лѣтъ тому назадъ послѣ упорной борьбы крѣпостныхъ за свободу, въ Россіи было уничтожено право собственности на людей.

Но крѣпостническій режимъ не былъ уничтоженъ! Мы жили въ крѣпостническомъ режимѣ до послѣднихъ дней!

Развѣ не дѣлила государственная власть народъ русскій на людей «подлыхъ» и людей «благородныхъ»

Триста лѣтъ династія Романовыхъ держала народъ Русскій въ безправіи и нищетѣ! Съ народа государственная власть брала послѣднюю копейку и тратила ее на угнетеніе народа!

Трехсотлѣтнее царствованіе Романовыхъ было трехсотлѣтнимъ угнетеніемъ Россіи.

Господство Штюрмеровъ, Протопоповыхъ, Щегловитовыхъ и имъ съ ними, не было-ли господствомъ крѣпостниковъ?

Побѣдоносный народъ сбилъ теперь цѣпи своей неволи! Эпоха Романовыхъ, эта эпоха угнетенія народа, осталась позади насъ.

Россія должна стать, наконецъ, свободной и уничтожить всѣ слѣды крѣпостничества! Сословная монархія есть недостойный великаго народа пережитокъ крѣпостного права! Съ паденіемъ монархіи Романовыхъ-Голштинскихъ должна пасть въ Россіи всякая монархія.

Мѣсто безправнаго обывателя долженъ занять полноправный русскій гражданинъ. —Долой монархію, долой сословія!

Объ отношеніяхъ между офицерами и солдатами.

Событія послѣднихъ дней вносятъ огромныя перемѣны въ строй

„უწყებები“—ცნობით ნიკოლოზ და მიხეილ რომანოვების გადადგომის შესახებ



როძიანკო არლნით: „მშვიდობით ჩემო ოდესაც“ (დენის კარიკატურა „დახატული 1917 წ., სახ. სათათბიროს უკანასკნელი დღეების აღსანიშნავად).

სახელმწიფო სათათბიროს წევრების კერძო თათბირი. სრულიად კერძო. ჟურნალისტებისათვის შესვლა სასტიკად აკრძალულია. სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილია. ის არ არსებობს. არიან კერძო დეპუტატები კერძო თათბირზე.

—:—

კვლავ სიცარიელეა სითეთრით აკრიალებულ დარბაზებში და დერეფნებში.

გარბიან სათათბიროს შეშინებული მსახურები და ბოქაულები.

— ჩხეიძე ან სკობელევი! ჯარისკაცებს მოითხოვენ, მოვიდნენ.

ჩხეიძე გზაში იცვამს ქურქს და მიდის გასავლისაკენ.

სათათბიროს წინ სიცარიელეა. გუშაგები თავის ადგილზე არიან.

მაგრამ კედელთან დგას საბარგო ავტომობილი ჯარისკაცებით და შეიარაღებული მუშებით.

— ურაა! გაუმარჯოს რევოლუციას!

— ამხანაგებო!—ჰყვირის ჩხეიძე და მისი ქართული აქცენტი არაჩვეულებრივად მკაფიოდ სჩანს.—ამხანაგებო, დაირაზმენით. ორგანიზაციაა საჭირო!

კიდევ რაღაცას ჰყვირის—საშინელი ზოგადი ფრაზებით.

— ხელმძღვანელები მოგვეცით!—უყვირიან მას ავტომობილიდან.—ხელმძღვანელები გვინდა.

მაგრამ ჩხეიძე კვლავ იმეორებს: საჭიროა ორგანიზაცია! რა უნდა სთქვას მან მეტი

ჯარისკაცები ისვრიან ჰაერში. ავტომობილი მიდის. ჩხეიძე მიკოჭლაბუხობს, სხვისი ქურქი ფეხებში ებლანდება. მე გავსცქერი მის მოხრილ ზურგს, რომელზედაც მკვეთრად არის აღბეჭდილი: უძლურება, აი რა ხარ შენ!

—:—

თათბირი გრძელდება.

კვლავ მორბიან და ეძახიან ჩხეიძეს და სკობელევს. მეორე, მესამე საბარგო ავტომობილი... ისინი ჩერდებიან ერთი წუთით და მიდიან ორგანიზაციის სარგებლობის შესახებ მოგონების მოსმენის შემდეგ.

საგუშაგოები მოხსნილია. გვარდიელებს არ სურთ და ეშინიათ სათათბიროს დაცვა.

—:—

შესავალი კარები ფართოდ იღება. [illegible] შვეიცარი პირველად სტოვებს თავის პოსტს. ხალხი უბილეთოთ, აღელვებული, გაწეწილი ყიჟინით იჭრება დარბაზში.

თეთრი კოლონადის ცივი და მკაცრი მორთულობა პირველ წუთში თითქო აშინებს მათ. მაგრამ პირველ ტალღას მოსდევს მეორე, მესამე... რევოლუციამ დაიკავა ტავრიდის სასახლე.

დ. ზასლავსკი.

# სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენა

1933 წლის იანვრის 24-ს საქართველოს მუზეუმში გაიხსნა სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენის შემდეგ, ეს მეორე შემთხვევაა, რომელიც ჩვენი მთების კულტურულად ჩამორჩენილ კუთხეს გვაცნობს და მის სინამდვილეს ასახავს. გამოფენა იმ ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგია, რომელიც საქ. მუზეუმმა მოაწყო 1931 წ. ზაფხულში



და რომლის მიერ სვანეთიდან ჩამოტანილი მასალები მეცნიერულად დამუშავდა მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში

ხევსურეთის ეთნოგრაფიულ გამოფენასთან შედარებით — სვანეთის გამოფენა თავისი შინაარსით უფრო მდიდარია. რამდენადაც სვანეთის ეთნოგრაფიული სინამდვილე რთული და მრავალსახიანი მოვლენაა, იმდენად მასში წარმოდგენილი საზოგადოებრივი წყობანი რიცხვობრივად მეტია და ხარისხობრივად განსხვავებული ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილესთან შედარებით. ამასთან ერთად სვანეთში გადანაშთების სახით შემონახული მასალა იმდენად ორიგინალური და საინტერესოა, რომ ამ სინამდვილის ამსახველი გამოფენა მრავალმხრივ არის მიმზიდველი.

ძველი სვანეთი ფეოდალების ულლის ქვეშ მგმინავი, ბეგარით, ყალიმით, „ვოჭკომურით" და ცარიზმის რეჟიმით უკიდურეს სიღატაკემდე დაყვანილი, სიბნელისა და უვიცობაში მყოფი, მოკლებული გზას, სკოლას, აქიმობას და სხვა — ამჟამად უდიდესი მშენებლობის კუთხეა, სადაც მეურნეობის სოციალისტური სექტორი გამძღოლი მეურნეობაა, სადაც მილიონებიან კაპიტალურ დაბანდებებს აქვს ადგილი.

სვანეთის მეურნეობის სოციალისტური სექტორის გამძღოლი როლი ხასიათდება, ისეთი მშენებლობით, როგორიცაა ჯვარი-მესტიის შარა-გზა (4.500.000 მან.). მაგანის ხიდი (261.000 მან.), ტყის მეურნეობა (5.600.000 მან. წლიური ბრუნვა), დოლრაჰესი (450.000 მან.), საბჭოთა და კოლმეურნეობების არსებობით და სხვა. ამასთან ერთად მთელი აღებმიცემობა 100 პროცენტით სამომხმარებლო კოოპერაციის ხელშია.

ზემოთ დასახელებული სოციალისტური მშენებლობა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობა ძირს უთხრის სვანეთის ტრადიციულ მამაპაპურ ეკონომიკას მისი პრიმიტიული ტეხნიკით და გადანაშთების სახით შემონახულ საზოგადოებრივ წყობებს, სპობს მათი არსებობის საფუძველს და ჰქმნის

იმ ნიადაგს, რომელზედაც ახალი სოციალისტური სვანეთი შენდება.

სვანეთის გამოფენა ორ მთავარ ამოცანას ისახავს: ერთის მხრით უჩვენოს მნახველს თუ რა ფორმებში ხორციელდება ჩამორჩენილი პატრიარქალური კუთხის სოციალისტურ საზოგადოებრივ - ეკონომიური ფორმაციაში გადაყვანა პროლეტარიატის დიქტატურის დროს განვითარების კაპიტალისტური საფეხურის გაუვლელად, ხოლო მეორე მხრივ წარმოადგინოს სვანეთის კულტურული განვითარების სტაბილობის მიხედვით ეთნოგრაფიულ კონკრეტ მასალაზე, ამ განვითარების მთელი დინამიკის ჩვენებით.

ამ ორი ძირითადი ამოცანის მიღწევის მიზნით გამოფენა ერთის მხრივ იშლება ძველი და ახალი სვანეთის დაპირისპირებაში, ხოლო მეორე მხრით მასში მოცემულია საზოგადოებრივ - ეკონომიური ფორმაციები სვანეთის ყოფის ყველა დარგის მასალების მიხედვით: ეკონომიკის, სოციალური წესწყობილების და ზედნაშენ კატეგორიების.

გამოფენის პირველ განყოფილებაში მოცემულია საბჭოთა მშენებლობა და რევოლიუციონური ბრძოლის ისტორია სვანეთში. ერთ-ერთი დიაგრამა განმარტავს ჯვარი-მესტიის გზატკეცილის მშენებლობის როლს სვანეთის ეკონომიკაში. აქ ირკვევა, რომ ყოველწლიურად გზატკეცილის გაყვანის შემდეგ სახალხო დოვლათს 500.000



მანეთი შემოენახება. დღეს ერთი ფუ[...] პურის შეტანა ზარიდან სვანეთში ჯდე[...] 7—9 მანეთი, გზატკეცილით კი დაჯდება 60—80 კაპ. ეს დიაგრამა აგრეთვე იძლევა სხვა მაჩვენებლებსაც: საშუალო ღირებულება გზის თითოეული კილომეტრის, გზის კეთება წლების მიხედვით, გზის მშენებლობის ტეხნიკური წესები და სხვა. სპეციალური დიაგრამა იძლევა ტყის მეურნეობის მაჩვენებლებს. განსაკუთრებ[...] ხაზგასმულია სვანი მუშათა კადრების წარმოში ჩაბმა, რომლებიც, როგო[...] მოწინავე რაზმი, დასაყრდენ ძალად გამ[...] დგება ძველი სვანეთის გარდაქმნისათვი[...] აქვე ნაჩვენებია შრომის პროცესები, მ[...] შათა საცხოვრებელი ბინები, ხე-ტყ[...] გამოზიდვის სხვადასხვა ხერხები (წყლი[...] ლარი, დაცურება, დაჯორგვა და სხვ[...] მუშის ხელფასის რაოდენობა და სხვა. ა[...] რეთვე ნაჩვენებია საკოლმეურნეო მოძრა[...] ბა, საზოგადოების ფენებად დაყოფა. საბ[...] ჭოთა მშენებლობის სხვა დარგში აღნი[...] ნულია მიღწევები განათლების, ჯანმრთე[...] ლობის, ნებაყოფლობითი საზოგადოებებ[...] კოოპერაციის და სხვათა ხაზით.

რევოლიუციონური ბრძოლის ისტორ[...] იდან გამოფენაში მოცემულია 1905 [...] 1918 წწ. ამბები. ახსნილია ამ ბრძოლ[...] სოციალური მიზეზები. აგრეთვე სოციალ[...] რად გააზრიანებულია 1875-76 წწ. აჯ[...] ყება.

გამოფენის მეორე განყოფილებაში წა[...] მოდგენილია ფეოდალური სვანეთი, რ[...] მელიც მოცემულია მიწათმფლობელო[...] ბეგარა - ყალიმის, ვოჭკომურის, სა[...] როს, დამონების იარაღების, სარაინდო [...] მენტების და პატრონყმობის მახასიათებ[...] მასალების წარმოდგენით.

დამონების იარაღების კომპლექსი [...] ვა იშვიათ კოლექციებს — „დადიან[...] ყმების ყელით გასაბმელი ჯაჭვი, ხუნ[...] ციხის თოფს „ჯაზაირს" და სხვა. ცა[...] თემად გაშლილია სვანეთის ფეოდალ[...] და ცარიზმის ბრძოლა.

მესამე განყოფილებაში მოცემულია [...] ნაკლასიური საზოგადოებრივ - ეკონომ[...] რი ფორმაცია: წინაგვაროვნულ, საგვარ[...] ნო და სატომო სოციალური დაჯგუფ[...] ბის მახასიათებელ კომპლექსებში. წინაგ[...] როვნული საზოგადოების ხაზით გამოფ[...] ში ნაჩვენებია სვანეთში პირველად დ[...] წმებული გვაქვზედ უფრო ადრინდ[...] სოციალური დაჯგუფება — „ლასკ[...] რომელიც საერთო წარმოებისა და საე[...] მოხმარების პრინციპზეა აგებული. ს[...] ნიერო თვალსაზრისით ეს მეტად მნიშ[...] ლოვანი მოვლენა გამოფენაში მრა[...] მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი. [...]



რის რაობა განმარტებულია სამი სოფლის მაგალითზე, სპეციალური დიაგრამა ლასკარის საკითხს იხილავს ერთი საზოგადოების (ლატალის) მასალების მიხედვით. ეს პრიმიტიული დაჯგუფება პირველ-ყოფილი კომუნიზმის უძველესი საფეხურის ელემენტების შემცველია და ამდენად მისი ყოველმხრივი შესწავლა ზოგადი თეორიული პრობლემის თვალსაზრისით აუცილებელია.

წინაკლასიური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის შემდეგი საფეხური—საგვარეულო წესწყობილება დახასიათებულია გვარების („სახლების"), სისხლის აღების წესების, მეხუბების, გვართა გავრცელებულობის და სხვათა მასალების შემწეობით, გამოფენაში წარმოდგენილი მასალა საკმაო სიცხადით ამჟღავნებს სვანეთის საგვარეულო წესწყობილების პატრონიმისტურ სახეს და „ქორამახვშის" როლს საგვარეულო ურთიერთობაში. ამავე ფორმაციის მესამე საფეხური „მოლჯგრაგის" საზოგადოებრივი დაჯგუფების სახითაა წარმოდგენილი. მასში მოცემულია გვართა გაერთიანება საერთო ინტერესების საფუძველზე, ის უკვე ტომობრივ გაერთიანებას აყალიბებს და ამდენად სახელმწიფოს ელემენტებს შეიცავს, ანტაგონისტურ საზოგადოებრივ დაჯგუფებას ჰგულისხმობს და კლასების წარმოშობის ტენდენციებს ატარებს.

გამოფენის ცენტრალურ თემას წარმოადგენს სვანური სახლის კომპლექსი, რომელიც მოცემულია დიაგრამის სახით. ეს თემა არკვევს სვანური სახლის სოციალურ, საყოფაცხოვრებო, რიტუალურ, საბრძოლო და სამეურნეო ფუნქციებს. სახლის მაგალითზე სრული სიცხადით აშკარავდება ის გარდაუვალი წრე, რომელშიაც მოქცეულია სვანის პრიმიტიული მეურნეობა.

სვანეთის მიწა-წყლის ფართობი 451.400 ჰექტარს უდრის. ამ რიცხვიდან უვარგისი მიწა ასე ნაწილდება: უვარგისი მიწა—18000 ჰა, ხოლო ვარგისი—271000 ჰა, ვარგისი მიწა ასე ნაწილდება: ტყე 177.000 ჰა, საძოვარი 85.000 ჰა, სათიბი 3.400 ჰა, სახნავი 5.300 ჰექტარი.

ამ მაჩვენებლების მიხედვით სავსებით აშკარაა, რომ სვანეთის გაბატონებულ მეურნეობად მესაქონლეობა უნდა იყოს, რამდენადაც ეს მეურნეობა სვანეთის პირობებში ყველაზე მეტად რენტაბელურია. მაგრამ, ჩამორჩენილ, პრიმიტიულ საწარმოო წესებზე მყოფ სვანეთს სავსებით მესაქონლეობაზე დაყრდნობა არ შეუძლია. იმ შემთხვევაში თუ სვანი სავსებით მესაქონლეობას დაენდო, ის იძულებული იქნება მთელი წლის საზრდო პურეული გარედან შემოზიდოს. ეს სვანეთის მეურნეობისათვის აუტანელ ხარჯებს იწვევს, ვინაიდან გზების უქონლობის გამო ერთი ფუთი პურის ბარიდან სვანეთში შეტანა 7-8 მანეთი ჯდება.

ამიტომ სვანი იძულებულია სიმბიოზური მეურნეობა აწარმოოს და მესაქონლეობასთან ერთად მიწაც ჩიჩქნოს საზრდო პურეულის შინვე მოსაწევად. რამდენადაც აქ მიწა მწირია, იმდენად სვანი იძულებულია ის საქონლის პატივით გაანოყიეროს. მაგრამ აქაც შეზღუდულია სვანი მეურნის გასაქანი. მეტი მიწის მოხვნა—მეტი საქონლის ყოლას მოითხოვს, ხოლო მეტი საქონელი მეტ სათიბს, რაც სახნავი მიწის ხარჯზე უნდა გაიზარდოს. ამიტომ ერთი სახის მეურნეობის გაფართოება მეორე სახის მეურნეობის გაფართოებას მოითხოვს, რაც სვანეთის პრიმიტიული მეურნეობის ტევადობას აღემატება და რაც იმ გარდაუვალ წრეს ქმნის, რომლის გადალახვას სვანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს, თუ სვანეთს გარეთ გამყვანი შარა-გზები ექნება, რომელთა შემწეობით სასურსათო ბარგის (პურის) შეზიდვა გაიაფდება და მისი მეურნეობა გადაყვანილი იქნება კოლექ. სოც. ფორმებში, ამით არის გამართლებული ის მსხვილი კაპიტალური დაბანდება, რომელიც ჯვარი-მესტიის გზატკეცილის მშენებლობას უნდება, აგრეთვე ხარჯები საბჭოთა და კოლმეურნეობებზე და სხვა.

სვანური სახლის კომპლექსი, რომელიც გამოფენაში დიაგრამის სახითაა მოცემული, აშკარავებს როგორც სვანეთის მეურნეობის სიმბიოზურ ხასიათს, აგრეთვე იმ გარდაუვალი წრის არსებობას, რომელიც ამ პრიმიტიულ მეურნეობას ახლავს: ადამიანის და ცხოველის ერთ ბინაში ყოფნა, საქონლის პატივის ბინაშივე დაგროვება ყანის განოყიერებლად, ბინაშივე საქონლის პატივის ლპობის პროცესის დაჩქარების მიზნით სხვადასხვა მანიპულაციების წარმოება და სხვ.

გამოფენის ანტირელიგიური განყოფილება თემატიურად უპასუხებს მეურნეობის იმ ელემენტებს, რომელიც გამოფენის მეურნეობის თემებშია მიცემული. გამოფენის ეს ნაწილი იწყება მცენარისა და მწვერვალის კულტით, შემდეგ გადადის ქვის კულტში, რომელიც დიაგრამის და ცალკე კომპლექსების სახითაა წარმოდგენილი. შემდეგ მოცემულია ცხოველის კულტი, ნაყოფიერების ღვთაების კულტი. წინაპრის კულტი და რელიგიური სინკრეტიზმი. დიაქრონიულ ჭრილში განხილულია: ცხოველების კულტი და ანთროპომორფიული ღვთაებები.

ამ განყოფილებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტირელიგიური რუკა, რომელიც აშკარავებს სოფლობრივად იმ კულტურულ კერების არსებობას, რომლებიც რელიგიურ გადანაშთებს ებრძვიან. იგივე რუკა იძლევა ყველა მაჩვენებლებს საკულტო ადგილების შესახებ. ამ მხრივ სურათი იმდენად ნათელი და აშკარაა, რომ ამ მასალის მიხედვით ადვილდება პრაქტიკული ღონისძიებების გამომუშავება ანტირელიგიურ პროპაგანდისათვის.

გამოფენის სხვა თემებზე აქ არ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გამოფენის შესავალ ნაწილში მოცემულია სვანეთის გეოგრაფიული და დემოგრაფიული დახასიათება; აქვეა ძველი და ახალი სვანეთის ტიპების გალერეა.

სულ გამოფენაში წარმოდგენილია 88 თემა, 900-ზე მეტი კოლექცია, მრავალი დიაგრამა, ფოტოგადაღება, ნახაზი, სურათი, ტაბულა, რუკა, კარტოგრამა, დიაგრამა და სხვა.

მშრომელთა ფართო მასების მომსახურეობის მიზნით საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას ექსკურსიებისათვის დამუშავებული აქვს თემების ციკლი, რომლის მიხედვით ადვილად შეიძლება გამოფენის ყველა მხარეების ამომწურავი გაცნობა.

**გ. ჩიტაია.**

## მწერალთა დელეგაცია დამკვრელ კოლმეურნეთა საკ. ყრილობაზე



**სურათზე:** მარც. მარჯვნივ: მწერლები—ამხ. **ვსევოლოდ ივანოვი, სერგეი ტრეტიაკოვი, სტავსკი და ალექსეი ტოლსტოი** მწერალთა საორგანიზაციო კომიტეტის პლენუმის წარმომადგენლები, რომლებიც მიესალმენ დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველ მაისს ამუშავდება ფერომარგანეცის ქარხანა

ერთი თვის შემდეგ — 15 აპრილს დამთავრდება ძირითადი სამუშაოები ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე. ამ დღიდან დაიწყება გამოსაცდელი პერიოდი ტრანსპორტიორების ბუნკერების, ამწევი მოწყობილობების და, დაბოლოს ელექტროსადნობი ღუმელების შესამოწმებლად.



**ამხ. კალანდაძე**
**ფეროშენის უფროსი.**



პირველ მაისს აღვნიშნავთ ჩვენი ქარხნის—ფეროშენადნობის წომავალი კომბინატის ერთ-ერთი რგოლის — საზეიმო გახსნით, — გვპირდება მშენებლობის უფროსი ამხ. **კალანდაძე.**

და, მართლაც, ქარხანა სულ სხვანაირად გამოიყურება, ვიდრე ერთი თვის წინ. ხარაჩოები აღებულია, მოწყობილობის მრავალი დეტალი უკვე არ ჩანს ეზოში — აწარმოებს მათი შეკრება და მხოლოდ მოშორებით მყოფი ცენტრალური ბუნკერები დგანან ხარაჩოებში. ამის მიზეზია — ნახაზების დაგვიანება გერმანული „გუმბოლდის“ ფირმის მიერ, რომელსაც „კრუპპის“ აელიჩულების გაუქმების გამო უაქვეთა გვიან გადაეცა.

— ცენტრალურ ბუნკერებთან დაკავშირებული სიფერხება, — ამბობს ამხ. კალანდაძე, — ხელს არ შეუშლის ქარხნის ამოშავებას დროებით, სანამ ბუნკერებს მოვამზადებთ, ჩვენ შეგვიძლია მარგანეცი დავამზადოთ სხვა საშუალებითაც.

ამჟამად ფეროშენებზე სასწრაფოდ მიმდინარეობს ელექტრო-ღუმელების მონტაჟი, „სიმენსის და შუკერტ“-ის ფირმის ელექტრო-მოწყობილობის დადგმა, ამ დღეებში დაიწყება 15 ტონიან ელექტროდების გამოცდა. მთელი სამონტაჟო მუშაობა მიმდინარეობს ქვესი გერმანელი ინჟინერის ხელმძღვანელობით.

ქარხნის სამივე ღუმელი ერთსა და იმავე დროს იქნება მზად ასამუშავებლად. მათი წარმოებლობა უდრის 50.000 ტ. ფერო-მარგანეცს წლიურად. ღუმელების ახლო უკვე დადგმულია მძლავრი ამწევი მანქანა ელექტროდენებისათვის და სხვა მოწყობილობანი.

რკინის და ფოლადის ყველა სამუშაოები ქარხნის ტერიტორიაზე დამთავრებულია. ამ დღეებში დაიწყება რელსების დაგება 5 ნახევარ კილო-მეტრის მანძილზე მარგანეცის მოსაზიდავათ შორაპნიდან ზესტაფონამდე. მშენებლობაზე გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობს წყალსადენის გაყვანა, მთავრდება რიონჰესის უკვე დამთავრებული ქვესადგურის მონტაჟი.

ამჟამად ფერომშენზე მუშაობს 2.000 მუშა და ინჟინერ-ტეხნიკოსი. მთელი კოლექტივი ჩაბმულია სოცშეჯიბრებაში და დამკვრელობაში. ბრიგადირების — ამხ. **გოლუშკოს, აბულაძის, ბოიკოს, ნებიერიძის, ნასილნიკოვის,** სახელები ცნობილია მთელი მშენებლობისათვის მათის ენტუზიაზმით, ამ ამხანაგების ბრიგადებისათვის არ არსებობს მუშაობის განსაზღვრული დრო თუ მშენებლობა მოითხოვს — ბრიგადა მუშაობს დღისითაც და ღამითაც. თოვლში, ყინვაში, წვიმაში — წამყვან ბრიგადების ბრიგადირები იბრძვიან დავალების შესასრულებლად ვადაზე.

მაისში ქარხანა მზად იქნება.

**ედ. შმ—ბი**



ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის და ელექტრო-ქვესადგური.



**ამხ ჩიქაშუა**

კომკავშირელი-ინჟინერი ამოწმებს ელექტრო ღუმელების საიმპორტო ავტომატიურ ამომრთველებს.

# თეატრი: საკავშირო მნიშვნელობის ქართული სპექტაკლი
## შილერის „In Tirannos" რუსთაველის თეატრში



დრამატიულ მწერლობას და თეატრს, როგორც მის განმსახიერებელ საშუალებას და იარაღს, ყოველთვის მოწინავე პოზიცია უჭირავს, რადგან ხელოვნების ამ დარგთა შემოქმედება უდიდეს სოციალურ-მასიურ როლს თამაშობს საზოგადოებრივ იდეათა პროპაგანდის საქმეში. თანახმად პარტიის და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის მითითებისა და საბჭოთა მწერლებთან საუბარში, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და მეტის მეტად საჭირო დარგს მწერლობისას დღეს ჩვენთვის წარმოადგენს ისეთი დრამატიული ნაწარმოები, რომელიც ასწევს სოციალიზმის მშენებლობის დიადი ეპოქის შინაარს სოციალისტური რეალიზმის და წითელი რევოლუციონური რომანტიზმის შემოქმედებითი მეთოდების საშუალებებით, საბჭოთა მწერლობა მოწოდებულია ახალ შემოქმედებით შეჯიბრებისაკენ ხსენებულ დარგში. ჩვენი თეატრების წინ ამით ისმება მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა, რათა ახალ სოციალისტურ ადამიანის საზოგადოებრივ პრაქტიკის გამოსახატავად გაამახვილონ აქედან გამომდინარე აქტიორულ, რეჟისორულ და საერთოდ თეატრალურ მეტყველების ახალ საშუალებათა ძიება, რომელიც სავსებით უნდა ეყრდნობოდეს ლენინურ თეორიის სწორ გაგებას და გამოყენებას.

რა თქმა უნდა, ბელადის მითითება თავის თავად გულისხმობს დრამატიულ მემკვიდრეობის გამოყენებასაც მისი კრიტიკული ათვისების აუცილებელ პირობით. კლასიკოსების გასცენიურება დიდ სამსახურს უწევს სოციალისტური ეპოქის მაყურებელს წარსულის კლასობრივი ბრძოლების სურათის გათვალისწინებით. ამ საკითხში უახლოეს წარსულის ლიტერატურულ მოძრაობაში გაბატონებული იყო არა სწორი დაყოფა „მისაღებ" და „მიუღებელ" კლასიკოსებს შორის: შესწავლის და ნიმუშად გამოცხადების ღირსად მიჩნეული იყო მხოლოდ „რეალისტი" კლასიკოსები, როგორიცაა ტოლსტოი, შექსპირი და სხვ. რადგან ისინი როგორც „რეალისტები" იმავე დროს „მატერიალისტებიც" იყვნენ (თუნდაც სტიქიური მატერიალისტები) და სავსებით ექსორიაქმნილი და უარყოფილი იყო მაგ. შილერი, როგორც ორტოდოქსალური იდეალისტი, რომ არაფერი ვთქვათ ბურჟუაზიულ რეალისტების „მატერიალიზმის" მეტად გულუბრყვილო და პასიურ ჭვრეტითი ხასიათზე, განა მისაღებია „რეალისტის" და „იდეალისტის" ცნებების მექანიკური გამოყენებით ვიზა მივსცეთ ბურჟუაზიული ეპოქის მემკვიდრეობას, გარეშე მთელი მისი მონაპოვარის კრიტიკულ შეთვისებისა და გადამუშავებისა, მათთვის წინდაწინ დარიგებულ სტანდარტულ პასპორტების მიხედვითა. ასე მაგ., ფადეევი ეგრ. წოდებულ მგლის პასპორტს აძლევდა შილერს იმის გამო, რომ რევოლუციონურ მარქსიზმის ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი უარყოფდენ გერმანელ ფილისტერთა გატაცებას სუბიექტიურ იდეალისტ შილერის რეაქციონური შემოქმედებით. მისი კარლ მოორის ყვირილი თავისუფლებაზე სხვა არა არის რა გარდა გერმანელ მედუქნის ყვირილისა ვაჭრობის თავისუფლებაზე. იგი საყვირია ამ იდეის და რადგან იგი ერთი (ფეოდალური) ექსპლოატაციის მაგიერ მეორე (ბურჟუაზიულ) ექსპლოატაციას უმზადებდა კაცობრიობას—„ძირს შილერიო, ამბობდა ფადეევი.

რა თქმა უნდა შილერს არ ქონდა და არც შეიძლებოდა ქონოდა პროლეტარული იდეოლოგია და მისგან ასეთის მოთხოვნა იგივეა, რომ პლატონს და არისტოტელეს უკიჟინო მონობის მომხრეობა. შილერი გამოხატავდა ბურჟუაზიის გააქტივებას ფეოდალურ-ყაზარმულ გერმანიაში, მისი პიოცული პერიოდის შემოქმედებაში პროტესტი თავადაზნაურულ-მემამულურ ტირანიის წინააღმდეგ ატარებს დაუდგრომელ, ბუნტარულ და პათეტიურ ფორმას. მას, როგორც მის პირმშო კარლ მოორს გონია, რომ ერთი აღფრთოვანებული პიროვნების ცეცხლით აღგზნებულ ახალგაზრდათა ჯგუფს შეუძლია იდეალურ რესპუბლიკად აქციოს გერმანია. როდესაც უსაზღვრო სარკაზმით და დაცინვით მოორის ბანდა ამჟღავნებს დახავსებულ გერმანულ ფეოდალიზმს და მოითხოვს პოლიტიკურ თავისუფლებას, შილერი ამით გამოხატავს უკვე საუკუნეებით მომწიფებულ და მტკიცე მოთხოვნილებას ხალხისას (ე. ი. უმთავრესად ეგრ. წოდ. „მესამე წოდების" — ბურჟუაზიის, ხელოსნების და სხვ.), მაგრამ როდესაც კარლი გადადის თავისი რესპუბლიკის დადებითი პროგრამის მოცემაზე, იგი ვერაფერს ვერ იძლევა, ქველმოქმედება და ღარიბ ახალგაზრდათა განათლების მოთხოვნის გარდა.



რეჟისორი შ. აღსაბაძე.

მთავარი შილერის „ყაჩაღებში" (ინ ტირანოს) არის ზეაღმავალი კლასის ოპტიმიზმი, მისი ეპოქის „შეტევა და ქარიშხალი", ის პარეტიკა, რომლითაც გამსჭვალულია კარლ მოორის და მისი მიმდევრების საბრალმდებლო რეპლიკები ძველ ფეოდალურ სოციალ - პოლიტიკურ წესწყობილების წინააღმდეგ.

და რუსთაველის თეატრმაც სავსებით სწორად გაიგო თავისი ამოცანა კარლის და ფრანცის მიერ დანთებული საბრალმდებლო ოჭმის პათეტიკისათვის ცენტრალური ადგილის მიცემით შილერის დრამის სცენიურ ინტერპრეტაციის დროს. თეატრმა საბჭოთა მაყურებელს დაანახვა ჯერ კიდევ მტკიცე და სტაბილურ გერმანულ ფეოდალიზმის ფუძე (მაქსიმილიან მოორის ტახტი, სასახლე, ქვეშევრდომი თავად-აზნაურობა და თვით „სათნო", კაცთმოყვარე უფროსნი გრაფ მოორი — ახალგაზრდა მსახიობ წულაძის მიერ სწორად განსახიერებული, როგორც ოიდიპოს-მეფის სიტუაციასთან ახლო მდგომი პერსონაჟი), შორი გაელვება რევოლიუციისა მოორის ბანდის შემოჭრით სასახლეში და ფრანცის საკვ-





„ინ ტირანოს“. სცენა ლუდხანაში.

დილით, ძმათა მოორების სულიერი ამბოხება. როგორც გაბზარვა არსებულ ტირანიისა და ბოლოს მისი მოსპობის ნაადრევი და განწირული სურვილი, როგორც მოორის და თვით შილერის კაპიტულაცია.

მსახიობი აკ. **ხორავა** საზღვრითი გამომეტყველებით და დიდათ გააზრებული თამაშით სავსებით გადადის კარლის პიროვნების აფეთქებაში და ქმნის მეტად პლასტიურ და ემოციონალურად მდიდარ სახეს მე-18 საუკ. რომანტიულ მეამბოხისას. „ქარიშხალის და შეტევის“ ეპოქის სტუდენტი თვით შილერის სულისკვეთების ელემენტების შეგრძნობით მკაფიოდ იხატება მსახიობის მიერ ბედნიერად დაჭერილ შემოქმედ სახეში. ხორავას მოორი იზიდავს მაყურებელს და მიყვება მას. ფრანცის მეტად რთულ და ძნელ როლის განსახიერებაში მსახ. **ვასაძე** დიდის ძალით იძლევა იმ თანდათანობით მოზარდ და საშიშ ძალის მოახლოებას, რომელმაც უნდა შესძრას ძველი ქვეყანა რევოლუციონური დარტყმით. ფრანცი წინააღმდეგობითაა აღსავსე, იგი აღარ ენდობა პატრიარქალურ რელიგიის და ქვეშევრდომთა კეთილ პოლიტიკურ ლოიალობას, რევიზიას უკეთებს თეოლოგიურ ღვთისმეტყველებას და თავისი ხელისუფლების დაკარგვის შიშით ცდილობს განამტკიცოს ბონაპარტისტული ძალმომრეობის პოლიტიკა. მსახიობი იმდენად დაეუფლა როლის ყველა მხარეს, რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს მის არტისტიულ უდაო მიღწევად.

მთელს სპექტაკლს აყავს რუსთაველის თეატრი ახალ შემოქმედებით სიმაღლეზე. მეტად პასუხისმგებელი ამოცანა იდეალისტკლასიკოსის კრიტიკულად დაძლევისა თეატრმა ბრწყინვალედ გადასჭრა. თეატრის მთელი კოლექტივი რეჟ. **სანდრო ახმეტელის**, მხატვარ **ირ. გამრეკელის**, (რომლის ნამუშევარი ცალკე გარჩევას მოითხოვს), კომპ. **გოკიელის** განსაკუთრებული თანხმოვანი შემოქმედებითი შედეგებით და მხატვრული ტემპერამენტის გაქანებით, შილერის სპექტაკლის ესოდენ მაღალი დაძაბვით განსახიერებით, სცილდება ენის ნაციონალურ შეზღუდულობას და ქმნის ჭეშმარიტად სრულიად საკავშირო მნიშვნელობის თეატრალურ მოვლენას.

**ალი არსენიშვილი.**






# კინო: „26 კომისარი“

## „აზერფილმის“ ნაწარმოები, რეჟისორი ნ. შენგელაია

ბაქოს კომუნის დაცემა 1918 წელში ყველაზე ტრაგიული ფურცელია ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლის ისტორიაში. გერმანია—ოსმალეთის ჯარებით გარშემორტყმული ბაქოს მუშათა კლასის ნაწილი შეიპყრო დროებითმა სისუსტემ. ის მოახიბლა მოღალატეების „არითმეტიკით“, იმ მატერიალური სიკეთის ჩამოთვლით, რომელსაც პირდებოდენ მას ესერები, დაშნაკები, მენშევიკები და ხმა მისცა ინგლისის ჯარების მოწვევას.

ყველაზე კრიტიკულ მომენტში ბაქოს პროლეტარიატი არ გაჰყვა თავის ბელადებს. ამ წუთიერი რყევის შედეგად მან დაჰკარგა თავისი საუკეთესო შვილები. ამაშია მისი ისტორიული ტრაგედია, ტრაგედია მერყევ, კლასობრივად არა გათვითცნობიერებული მასის, რომლის შიგნით იბრძოდა პროლეტარული შეგნება და კლასობრივი ჩამორჩენილობა, მოწინავეთა სიმამაცე და ჩამორჩენილთა სიმხდალე.

სწორედ ასე გაიგო ეს ეპოპეია რეჟისორმა ნ. შენგელაიამ, რომლის ფილმი „26 კომისარი“ არის იმდენად არა ბაქოს გმირული კომუნარების ტრაგედიის ილიუსტრაცია, არამედ, იმ ისტორიული გარემოცვის ფართო მასშტაბით გაცოცხლება ეკრანზე, რომელშიაც დატრიალდა ეს ისტორიული კონფლიქტი.

ბაქოს კომისრების დაღუპვის თემა რთული და პასუხსაგებია. ბევრს ის დაუძლეველად ეჩვენებოდა. რეჟისორს აფრთხილებდენ: „ბაქოს კომისრების დაღუპვა არ შეიძლება გახდეს თემად ფილმისათვის; ტრაგედია, რომელშიაც წინდაწინ განსაზღვრულია ფინალი, ცნობილია სიუჟეტური სიტუაციით, წინდაწინ გაზომილია ძალთა შეფარდება, რა ტრაგედიაა, ის? მაგრამ ნ. შენგელაიამ მაინც მოკიდა ხელი ამ თემას და ღირსეულადაც გადასჭრა ის.

უპირველეს ყოვლისა რეჟისორი არ შეუშინდა ისტორიზმს, არ დადგა მისი უარყოფის გზაზე. ნ. შენგელაია ისტორიიდან გამოდის, მაგრამ ეს ისტორია არ არის მარტო ფაქტიურად მომხდარ ამბების ქრონოლოგიური დალაგება, ის გადატეხილია ერთგვარ რომანტიულ პრიზმაში. ნ. შენგელაია პოლიტიკურ ფორმულებს უდგება როგორც რომანტიკოსი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ნ. შენგელაიას სურათში არის, ის, რომ მან მიზნად დაისახა დიდი პოლიტიკური მასშტაბის ამოცანა. „26 კომისარში“ ბაქოს პროლეტარიატის ისტორიული შეცდომის ამბავი მოთხრობილი უნდა ყოფილიყო ისე, რომ მაყურებლამდე ის არ მისულიყო როგორც კრახი, არ გამოეწვია მასში დაცემულობის და განწირულობის გრძნობა. სწორედ ეს არ არის სურათში. მთელი ფილმი გამსჭვალულია კლასობრივ - ისტორიული ოპტიმიზმით და ამაშია მისი ღირსება.



რეჟ. ნ. შენგელაია

თუმცა ფილმი 26 კომისრის სახელს ატარებს, მაგრამ ფაქტიურად ის მასების ფილმია. ნ. შენგელაია ამ სურათში გვევლინება როგორც მასების ნიჭიერი ორგანიზატორი. არც ერთ საბჭოთა ფილმში არ გვინახავს ჯერ ამდენი ხალხი. მაგრამ ნ. შენგელაია მაყურებელს აკვირვებს არა მარტო რაოდენობით, არამედ მასასთან მუშაობის ხარისხითაც. შესანიშნავად არის დამუშავებული სცენები ბაქოს საბჭოში, განსაკუთრებით კი კენჭის ყრა და ის მომენტი, როდესაც შაუმიანი მიდის ტრიბუნისაკენ. თვითონ შაუმიანი არ ჩანს ეკრანზე. თქვენ ხედავთ ბელადისაკენ მობრუნებულ დეპუტატების თავს და ყველა ფიგურებში გრძნობთ აზრის და ნებისყოფის უდიდეს დაჭიმვას.

ნ. შენგელაიას მასა არ არის არც ინდივიდუმების მექანიკური შეერთება და არც უპიროვნო მთლიანობა. რეჟ. იცნობს მასის ყოველ მონაწილეს, გარკვეულ დავალებას აძლევს მას. ყველა თავისებურად მოქმედობს, მიუხედავათ იმისა, რომ ერთად იღებენ მათ.

მასიურ სცენებში არის ზოგიერთი კადრები, სადაც რიტორიკა და პუბლიცისტიკა გცემს თვალში, არის ნაკლებ დამაჯერებელი სცენებიც (თავების ერთბაშად დახრა, კომისრების დახვრეტის ამბავის გაგონებაზე, ეს არ გამომდინარეობს სურათში მოხაზულ საერთო სიტუაციიდან), მაგრამ ეს ნაკლი იფარება რეჟისორის იმ დიდი ოსტატობით, რომლითაც აღბეჭდილია მასიური სცენების უმრავლესობა.

რეჟისორის ოსტატობა და მხატვრული გემოვნება უმაღლეს წერტილს აღწევს კომისრების დახვრეტის სცენაში. ეს სცენა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს კადრის კომპოზიციით. კლასობრივი მტრის ზოოლოგიური სიძულვილი აქ მოცემულია მთელი თავისი საზიზღარი სიშიშვლით. თქვენ გრძნობთ, რომ კლასობრივი მტერი შეუბრალებელია. მისგან პატიებას არ უნდა ველოდეთ. ეს შეუბრალებლობა ჩანს ყველაფერში—დაუსრულებელ სილაშიც, გულისმომკვლელ გრძელ გადასვლაშიც, იმაშიც, რომ 26 კომისარიდან ერთს განზრახ არ ჰკლავენ, დააცლიან მას დახვრეტილთა ორმოდან ამოსვლას, რომ შემდეგ უფრო კარგად ამოიღონ ნიშანში და მეტი სიმძაფრით იჯერონ გული.

ამ სცენის, და საერთოდ მთელი სურათის, ძლიერ ემოციონალურ ზეგავლენას ხელს უწყობს ოპერატორის (ე. შნეიდერი) საუცხოვო ნამუშევარი.

ნ. შენგელაია ორგანიულად განიცდის მკვდარ ბუნებას. მისი ნავთი



კადრი ფილმიდან „26 კომისარი“

და კარა-კუმის უდაბნოს სილა არ არის მარტო მკვდარი საგნები. ისინი ფილმში სცოცხლობენ და აქტიურადაც იბრძვიან. შესანიშნავია ნავთის კადრები, განსაკუთრებით ისინი, სადაც ნაჩვენებია ნავთის გადაღვრა ინგლისელების მიერ ზღვაში.

„26 კომისარში“ არსებითად ნავთია ცენტრალური მომქმედი პირი. მასთვის სწარმოებს გაავთრებული ბრძოლა. ვინ არის ნავთის ნამდვილი პატრონი? ამ საკითხს მარტივი მხატვრული ხერხით სწყვეტს ნ. შენგელაია. ნავთით გამურული მუშები უსიტყვოთ ლაპარაკობენ, რომ ისინი არიან ნავთის ნამდვილი პატრონი. ნ. შენგელაიამ ნავთს შემოაცალა „ნეიტრალობის“ სამოსელი და პროლეტარული საქმისათვის მებრძოლებს ამოუყენა გვერდში.

ფილმს აქვს სუსტი მხარეებიც. ყველა კადრები არ არის ერთხაირი ხარისხის. სურათში არის ამბების პუბლიცისტური გახსნის ელემენტები. ისტორიული ამბები ყოველთვის არ არის მოცემული მხატვრული სახეებით. არის სურათში ადგილები, სადაც მოძრაობენ ცნებები, და არა სახეები.

ფილმის ავტორს უსაყვედურებ: სურათი ატარებს 26 კომისრის სახელს, თვითონ კომისრები კი თითქმის არ სჩანან ეკრანზედ. ეს ნ. შენგელაიამ შეგნებულად დაუშვა და, ჩვენის აზრით, სავსებით სამართლიანადაც. ბაქოს ტრაგედია ჯერ კიდევ არ გადასულა ისტორიის სამფლობელოში, ჩვენს შორის ბევრი ცოცხლობს ისეთი, ვინც პირადათ იცნობდა ბაქოს კომისრებს და მათთან ერთად იბრძოდა. ამიტომ მათი სახეებით გაცოცხლება ეკრანზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს, აქ შეიძლება სიყალბეში ჩავარდეს რეჟისორი და მით უფრო ადვილი იყო ნ. შენგელაიას სურათში, რომელიც არსებითად უაქტიორო სურათს წარმოადგენს (ს. შაუმიანს თამაშობს არა აქტიორი, არამედ უბრალო მოქალაქე, რომელიც გარეგნულად ჰგავს შაუმიანს).

ფილმში გროტესკულად არის მოცემული პროლეტარიატის მოწინააღმდეგე პარტიების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ესერები და მენშევიკები. ეს არ შეეფერება ფილმის საერთო მონუმენტალურ ტონს.

მიუხედავათ ამ დეფექტებისა, „26 კომისარი“ მთლიანად საბჭოთა კინემატოგრაფიის მორიგ დიდ გამარჯვებას წარმოადგენს. ეს არის ფილმი, რომელიც პოლიტიკურად სწორად და მხატვრულად დამაჯერებლად სახავს ბაქოს პროლეტარიატის ბრძოლას.

26 კომისრის დაღუპვის თემა ფართო თემაა. ის ერთი სურათით ვერ ამოიწურება. ნ. შენგელაიას ფილმი პირველია იმ მრავალთაგან, რომელიც შეიძლება აშენდეს ამ თემაზე.

**შ. ბუაჩიძე**

# უცხოეთში

## ეკონომიური კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში



სტოკჰოლმის უმუშევარი მუსიკოსები ქუჩაში დაკვრით შოულობენ ლუკმა-პურს.

## ამერიკელ მუშალაროელთა გმირული ბრძოლა



საგაფიცვო მოძრაობა. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება და ხშირად ნამდვილი ომის ხასიათს იღებს. ილინოისის შტატი გაჭედილია ჯარებით, ვინაიდან მარტო პოლიციამ ვერ შესძლო გაფიცულთა ხიმტკიცის გატეხვა.

**სურათზე** ჯარისკაცი ქ. ტეილორვილის ქუჩაზე აჩერებს ავტომობილს გაჩხრეკის მიზნით.

---

## საფრანგეთის ახალი სამხედრო დირიჟაბლი

საფრანგეთის ახალი ნახევრად მაგარი დირიჟაბლი „ ‟ 80.000 კუბ. მეტრ. მოცულობით, ეკუთვნის სამხედრო-საზღვაო ფლოტს.



## ჩიკაგო გაკოტრების შემდეგ




როგორც მკითხველებმა ეცოდინებათ, შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი—ჩიკაგო გაკოტრდა. ქალაქის თვითმართველობის კასები ცარიელია. მასწავლებლებს და ქალაქის სხვა მოსამსახურეებს უკვე რამდენიმე თვეა არ მიუღიათ ხელფასი. ფულის უქონლობის გამო ჩიკაგოს მეწვრილმანეთა ასოციაციამ „ეირმა“ გამოუშვა საკუთარი თავის ნიშნები, რომლებიც სავალდებულოა მისაღებად ასოციაციაში შემავალ ყველა სავაჭროებისათვის.

# ქრონიკა

## ასე ეპყრობიან მშრომელ ქალებს კაპიტალისტურ ქვეყნებში



—პოლიციელი სცემს წაქცეულ მუშა-ქალს, ნიუ-იორკის უმუშევართა დემონსტრაციის მონაწილეს.



—პოლიცია აპატიმრებს დემონსტრაციის მონაწილე ქალს ვაშინგტონში.

## ეკონომიური კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში



ეკონომიური კრიზისის შედეგად კაპიტალისტურ ქვეყნებში ულუკმაპუროდ რჩებიან მშრომელთა ახალ-ახალი მილიონები. ისინი რჩებიან არა მარტო ულუკმაპუროდ არამედ აგრეთვე ღია ცის ქვეშ, რადგან არავითარი შესაძლებლობა არა აქვთ ბინის ქირა გადაიხადონ და სახლის პატრონები მათ ქუჩაში მიერეკებიან.

**სურათზე**—ერთ-ერთი ღია ცის ქვეშ დარჩენილ მილიონ მუშებიდან —უმუშევარი სმიტი (ლონდონი), რომელიც სახლის პატრონმა მისი ორი ბავშვითა და ცოლით იანვარში ქუჩაში გამოჰყარა.



—კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფებუ-ლი კრიზისი მძლავრად შეეხო არა მარტო ინდუსტრიალურ პროლეტარიატს. მრავალათასი ინჟინერ-ტეხნიკოსი, თავისუფალი პროფესიის პირი, მრავალი ათასი ხელოვნების მუშაკი დღეს უმუშევრად დარჩენილ ინდუსტრიალური მუშების მდგომარეობა-შია. აქ მოყვანილი სურათი წარმოადგენს მცირეოდენ ილიუსტრაციას იმისას, თუროგორი მძიმე გავლენა მოახდინა კრიზისმა ხელოვნების მუშაკთა მატერიალურ მდგო-მარეობაზე: ეს სცენა გადაღებულია 1933 წ. იანვარში ნიუ-იორკის ე.-წ. „სამოთხისხეივანში"—ქუჩაზე, სადაც უმთავრესად ცხოვრობენ მწერლები, არტისტები და მხატვრები, მუშების და მხატვრების ჯგუფის გამოსახლების დროს მათი ბინებიდან ქირისგადაუხდელობის გამო.


...მა"-ს რედაქცია

...უკიძის ქ. № 2

...ა შეიძლება ყოველდღე

...დან 4-დე

ფასი 50 კაპ.

გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა, ყაზბ. 68. მთავლიტის რწმუნებული გ—389.